პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მესამე

კომუნისტი

ცენტრალურ და ტფილისის
კომიტეტის
და სრ. საქ. მ., გ. წ. არ. და მაზრ. დეპ. საბ.
შაკის ორგანო.

რედაქცია: ტფილისი, კრუზენ. № 4. მე-2 სართული.
მთავარი კანტორა: ტფილისი, რუსთაველის პრ. № 24 მე-2 სართული ტელეფ. 5—43

რედაქციაში საქმისთვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმე დღეებისა 2-დან 3 საათამდე.
ტელეფ. ნომრები რედაქტორის 14—76. მდივნის 10—58.

ხელის მოწერის თვიური ფასი: საქართველოში 230.000 მ. სხვა საბჭოთა რესპუბლიკებში 1200 მ. 1922 წ. ნიშნებით განცხადება—50 ათ. მ. ნონპარელის სტრიქონ. სამგლოვიარო განცხადება 1 მილ. მ.

№ 65 პარასკევი, 23 მარტი 1923 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 10,000 მან. № 65

დღიური

რუსეთში: ამხ. ლენინის ჯანმრთელობაში [illegible] ცვლილება არ მომხდარა, ესერთა ყრილობის დახურვა მოსკოვში, მისალმება ლენინს, ბუხარინის სიტყვა.

გერმანიაში: შეთანხმება კომუნისტებსა და გაერთიანებულ სოციალდემოკრატებს შორის საქსონიაში, შიში მუშათა რაზმების წინაშე.

რევოლიუციონურ მუშათა ორგანიზაციების კონფერენცია ფრანკფურტ-მაინცში.

საბჭოთა რუსეთის ცნობისათვის ამერიკაში: კრაგერის განცხადება.

საქართველოს პარტიულ საბჭოთა პრესის ცენტრალურ კანტორისაგან

(ყოფ. გაზტრესტი) რუსთაველის პრ. № 24.
ტელ. 5—43.

1 აპრილიდან გაზეთ „კომუნისტზე“ წერდება შემდეგი ფასი:

საერთო ხელის მოწერა თვიურად—450,000 მან.
ხელის მოწერა მუშებისათვის „ —200,000 „
ერთი ეგზემპლიარი . . . . . — 20,000 „

მუშებს შეღავათი ეძლევათ იმ შემთხვევაში, თუ ისინი ხელს მოაწერენ ადგილკომის (ქარხნის კომიტეტის) საშუალებით, მუშების შემოწმებულ სიების დართვით.

5—1

ერთდროული სამოქალაქო გადასახადი

საკითხი სახელმწიფო და ადგილობრივი ხარჯების დაფარვის და ამ მიზნით სათანადო წყაროების აღმოჩენის შესახებ თავსამტვრევია არა მარტო ჩვენი რესპუბლიკებისთვის, მათი დანგრეული მეურნეობითა და პასიური სავაჭრო ბალანსით, არამედ ძლიერი სახელმწიფოებისთვისაც მძლავრი მეურნეობით. ემისიის საშუალებით ყველა ჭრილობათა მოშუშება ილუზიაა, რადგან ბოლოს და ბოლოს შედეგი ასეთი ზომის არის კიდევ უარესი ჭრილობის მიყენება სამეურნეო ორგანიზმზე. მისი შედეგია ფულის ფასების დაცემა. ეს მწარე გამოცდილებით ვიცით ჩვენ, უცნობი არ არის ის სხვა სახელმწიფოებისთვისაც. ხოლო მდგომარეობა, მრავალფეროვანი მოთხოვნილება დაყოვნებას ვერ ითმენს და ბუნებრივია მივმართოთ ხშირათ ისეთ ზომებს, რომლებსაც ნაკლებათ ექნებოდათ ადგილი სამეურნეო ცხოვრების აყვავების პირობებში, გადასახადები ნორმალური და ერთდროული-აი გზა, რომელზეც ძალაუნებურათ იძულებული ვხდებით შევსდგეთ, რომ რამოდენიმეთ დავფაროთ აუარებელი ხარჯები, რომლებსაც მოითხოვს სახელმწიფო. ამ მოსაზრებით არის გამოწვეული დეკრეტი ერთდროული სამოქალაქო გადასახადის შესახებ ამიერ-კავკასიაში, დეკრეტი მიღებული ა. კ. ფედერაციის ც. აღმასკომისა და სოვნარკომის მიერ. სანამ შემუშავებული არ არის ნორმალური საგადასახადო სისტემა, საჭირო ხდება მიმართვა ასეთი ერთდროული ვალდებულების დაწესებისათვის სახელმწიფოს ძიმართ. ზედმეტია ლაპარაკი იმ მნიშვნელობის შესახებ, რომელიც ექნება თვით მარტო ფაქტს გადასახადის სახით სახელმწიფოს სალაროში ფულის ნიშნების დაბრუნებისას. თუ აქას მივუმატებთ უმთავრესს მოსაზრებას, რომლითაც არის გამოწვეული ახალი გადასახადის შემოღება, რომ მისგან არის დამოკიდებული ცენტრალური და ადგილობრივი ბიუჯეტის სიცალიერის რამოდენიმეთ შევსება. ცხადია თუ როგორი სერიოზული მოტივები უდევს საფუძვლათ ამ ახალ ნაბიჯს.

ბუნებრივია, რომ, როგორც ყოველთვის, ამ შემთხვევაშიაც დაცული არიან ქალაქისა და სოფლის მშრომელნი და სუსტი მეურნენი.

სახელმწიფო, რომელიც ემსახურება მუშებისა და გლეხების ინტერესებს, ილწვის მათი მდგომარეობის გასაუმჯობესებლათ, ცხადია ხელმძღვანელობს გარკვეული საგადასახადო პოლიტიკით, რომელიც ყველაზე ნაკლებათ ეხება მათ და უმთავრესი სიმძიმე გადასახადების გადააქვს მოსახლეობის შედარებით შეძლებულ ნაწილზე. ასე მაგალითად მისგან თავისუფლდებიან მუშები და მოსამსახურეები, რომლებიც იღებენ ჯამაგირს სატარიფო განაკვეთის მეცხრე ზოლამდე, სამხედრო მოსამსახურეები გარკვეული კატეგორიისა, მილიციის თანამშრომელნი, სახალხო უნივერსიტეტის უადგილო მოწაფეები, წვრილშვილიანი ქალები, გლეხები, რომლებსაც არ ყავთ შინაური პირუტყვები და ეწევიან მეურნეობას და რასაკვირველია უმუშევრები და ინვალიდები. რაოდენობა გადასახადისა მშრომელთა გარკვეული კატეგორიისთვის სატარიფო განაკვეთის მეცხრე ზოლის ზევით უდრის ასი ათასი მანეთიდან და იშვიათ შემთხვევაში რვაას ათას მანეთამდე. დანარჩენებისათვის მილიონ ნახევრიდან 10 მილიონამდე.

ამნაირათ ეს გადასახადი სრულიად არ შეეხება მშრომელთა დიდ ნაწილს და ძალიან სუსტათ დანარჩენთ. მაგიერათ სიმძიმის ცენტრი გადააქვს, როგორც ყოველთვის ასეთ შემთხვევაში ჩვენ რესპუბლიკებში, მოსახლეობის შედარებით შეძლებულ ნაწილზე. ცხადია ამიტომვე, რომ ის იქნება წარმატებით ჩატარებული როგორც ერთ-ერთი ზომა ჩვენი სახელმწიფოებრივი ხარჯების დასაფარავათ და ფინანსების გასაჯანსაღებლათ. ხელის შეწყობა მისი ნორმალურათა და „დაკვრითი“ წესით ჩატარებისათვის არის დიდი სახელმწიფოებრივი საქმე, რომლისკენაც ჩვენ მოუწოდებთ არსებული წესწყობილების მეგობრებს და ყველა პატიოსან მოქალაქეთ.

ლონდონის თათბირი

ლონდონში გაიხსნა მოკავშირეთა თათბირი, რომელიც იხილავს ოსმალეთის მთავრობის კონტრ-წინადადებებს, ლოზანის კონფერენციაზე მათ მიერ გამომუშავებულ საზავო ხელშეკრულების პროექტზე.

როგორც მკითხველებს ახსოვთ, ლოზანის კონფერენცია, რომელიც ორ თვეზე მეტს გაგრძელდა, დაიშალა უშედეგოთ. აქ მოკავშირეებმა ვერ მიაღწიეს რაიმე შეთანხმებას ოსმალეთთან ახლო-აღმოსავლეთის საკითხების შესახებ.

რამდენიმეჯერ წარუდგინეს ოსმალეთს ხელშეკრულების „საბოლოო“ პროექტი, რომლის მიუღებლობას ანგორის მთავრობის მიერ, მოკავშირეები მუქარით, მძიმე შედეგები მოყვებოდა ოსმალეთისათვის. ყველა ეს პროექტები არსებითად ადასტურებდენ ოსმალეთის დამონებას, მოკავშირეთა, კერძოდ ინგლისის ბატონობას ახლო აღმოსავლეთში და ამიტომ მათი მიღება იქნებოდა ნებაყოფლობით სხვისი უღლის დადგმა, თითქმის მთელი გაქარწყლება ოსმალეთის ხალხის მიერ ბრძოლის ველზე ბრწყინვალე გამარჯვების შედეგების.

მოკავშირეთა მიერ ხელშეკრულების უკანასკნელი „საბოლოო“ პროექტის წარდგენის შემდეგ, რომლის ხელის მოწერაზე ანგორამ უარი განაცხადა, ლოზანის კონფერენცია შეწყდა.

ანგორის მთავრობამ შეიმუშავა საკუთარი კონტრ-პროექტი, რომელიც ახლა არის ლონდონის თათბირის განხილვის საგანი.

მოკავშირენი ცდილობენ შეიმუშაონ მოქმედების საერთო გზა ოსმალეთის მიმართ, მიღებული ცნობებით, ანგორის წინადადებები საგრძნობლად შეუთანხმებელია, ის დიდ დათმობას შეიცავს მოკავშირეთა მიმართ. ზოგიერთნი კიდევ ამბობენ, რომ შესაძლებელია ახალ წინადადებებთა საფუძველზე ოსმალეთთან საერთო ენის გამონახვა და კონფერენციის განახ-

წინასწარ, რა თქმა უნდა, შეუძლებელია იმის გათვალისწინება, თუ რა ნაყოფს გამოიღებს ეს კონფერენცია. ყველაფერი დამოკიდებულია საერთაშორისო რეალურ ძალთა განწყობილებაზე და იმ პოზიციაზე, რომელსაც ანგორის მთავრობა დაადგება.

ჩვენ ვერ ვიტყვით, რომ დღეს ანგორისათვის მდგომარეობა მაინც და მაინც უფრო ხელსაყრელი იყოს, ვინემ ლოზანის კონფერენციის დროს.

მაშინ ანგორამ ვერ შესძლო თავის იარაღის გამარჯვების, აგრეთვე მოკავშირეთა შორის გამწვავებულ დამოკიდებულების სავსებით გამოყენება.

ბოლოს და ბოლოს ინგლისმა მაინც შესძლო მოლაპარაკების გაჭიანურება, დიპლომატიური ყალთაბანდობით, წაგებული საქმის რამდენიმე დროებით გამოსწორება და ძველი მდგომარეობის შენარჩუნება. მართალია, მისი პრესტიჟი საერთოდ დაეცა, მან ვერ მიაღწია მნიშვნელოვან შედეგებს, მაგრამ სულ სხვაგვარად დატრიალდებოდა საქმე, რომ ანგორას მეტი გადაჭრილი მოქმედება გამოეჩინა. მაშინ შეიძლება ანგორის მთავრობა დღეს სტამბოლის და მთელი თავის ტერიტორიის ბატონ-პატრონი ყოფილიყო. ამის ერთ მთავარ მიზეზად ჩვენ მიგვაჩნია ბურჟუაზიული ბუნება ანგორის ხელისუფალთა რომელნიც ერთ და იმავე დროს კიდეც ებრძოდნენ ანტანტას და კიდეც ცდილობდენ, მასთან კომპრომისულ შეთანხმებას, თუნდაც სასიცოცხლო ინტერესების შეწირვით.

საბჭოთა დელეგაცია ბოლომდე და გაცილებით უფრო მტკიცედ იცავდა ოსმალეთის ინტერესებს, ვინემ თვით ანგორის დელეგაცია.

და თუ ამ უკანასკნელმა მიაღწია რაიმე ნაწილობრივ წარმატებას, ამის ერთი მთავარი მიზეზი იყო საბჭოთა რუსეთის ენერგიული გამოსარჩლება.

დღეს, კონფერენციის განახლების დროს, ოსმალეთის დელეგაციის მდგომარეობა უფრო სუსტი იქნება.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ საფრანგეთი გზას გაუხსნის ინგლისს, წინააღმდეგობას არ გაუწევს უკანასკნელის პოლიტიკას ახლო აღმოსავლეთში, რამდენად ეს პოლიტიკა, რა თქმა უნდა, ძირიანად არ შელახავს საფრანგეთის ინტერესებს. საფრანგეთი აქ წავა დათმობაზე, მოხდება ამ ორ სახელმწიფოს შეთანხმება ახლო აღმოსავლეთში გავლენის სფეროთა განაწილების საქმეში.

ჩვენ ამას გვაფიქრებინებს ინგლისის პოზიცია რურის საკითხში. ლონდონის მთავრობამ პილატესავით ხელი დაიბანა პუანკარეს ძალადობის საქმეში გერმანიის მიმართ.

პარიზის მთავრობამ ასეთ საპასუხისმგებლო ნაბიჯს ვერ გადადგამდა თავისი რისკით, რომ რაიმე გარანტიები არ მიეღო ლონდონიდან.

ინგლისის მთავრობის ოფიციალური ტარყოფითი დამოკიდებულება რურის ოკუპაციისადმი შეიძლება დიპლომატიურ თვალთმაქცობად ჩაითვალოს.

რურის საკითხში თავშეკავების სამაგიეროთ, ინგლისი, ცხადია, მოითხოვს, რომ საფრანგეთმა საშუალება მისცეს მას ახლო აღმოსავლეთში გაატაროს თავისი პოლიტიკა.

ოსმალეთის მდგომარეობას კიდევ უფრო ართულებს ის გარემოება, რომ ჩვენ არ გვგონია, მომავალ კონფერენციაზე საბჭოთა ფედერაციამ მიიღოს მონაწილეობა. საბჭოთა მთავრობამ უკვე თქვა თავისი სიტყვა ლოზანის კონფერენციაზე და იგი მეტ დათმობაზე ვერ წავა.

ანტანტა შეეცდება, რა თქმა უნდა, ჩვენი რესპუბლიკების წარმომადგენლები არ დაისწროს კონფერენციაზე, ოსმალეთი გაიმარტოხელოს. მაშინ უფრო ადვილი იქნება მასთან „მორიგება“.

ახლო მომავალი გვიჩვენებს, თუ რა ხასიათს მიიღებს ის დიპლომატიური თამაში, რომელსაც ანტანტა და კერძოთ ინგლისი აწარმოებს ოსმალეთის მიმართ.

ერთი რამ ამ თავითვე ცხადია: ანგორის მთავრობა თავის ხალხის ინტერესების მედგრად დაცვას უკეთ შესძლებს მხოლოდ საბჭოთა ფედერაციასთან კავშირის განმტკიცებით.

აქეთკენ უნდა იყოს მისი ყურადღება მიქცეული.

რევოლიუციონურ მუშათა ორგანიზაციების კონფერენცია

ბრანდლერის სიტყვა.

მოსკოვი. 22 მარტი. ფრანკფურტში გამართულ რევოლიუციონურ მუშათა ორგანიზაციების კონფერენციაზე ბრანდლერმა აღნიშნა მარკის კაპიტალისტების ცდისა, რომელიც მიმართული იყო გერმანიის მეურნეობის აღდგენისაკენ. გერმანიის მიმდინარე ვალები გაიზარდა 41½ ტრილიონ მარკამდე. მარკის სტაბილიზაციას შეუძლია გამოიწვიოს მხოლოდ კაპიტალისტების გამდიდრება. სავსებით დამარცხდა აგრეთვე მთავრობის სასურსათო პოლიტიკა. სოციალ-დემოკრატებმა, რომელნიც ფიქრობდენ მეურნეობის აღდგენას, ხელი შეუწყვეს კაპიტალიზმის განმტკიცებას 1918 წელში, რის გამოც დღეს პროლეტარიატი ძალიან შევიწროებულია. საგარეო პოლიტიკის დარგში ბრანდლერი მოითხოვდა მთავრობისაგან საბჭოთა რუსეთთან კავშირს. ორატორი აღნიშნავდა, რომ მუშათა კლასის ენერგია განუწყვეტლივ იზრდება სოციალ-დემოკრატების მიერ ერთიანი ფრონტის უარყოფამ თვალი აუხილა მასებს, რომელნიც თავისუფლდებიან სოციალ-დემოკრატების გავლენისაგან იმ დროს, როდესაც კომუნისტურ პარტიის გავლენა ყოველი საათობით იზრდება.

ნიუბოლდის სიტყვა.

ბრანდლერის შემდეგ სიტყვა წარმოსთქვა ინგლისელმა კომუნისტმა ნიუბოლდმა, რომელმაც აღნიშნა, რომ ახლო მომავალში არ არის მოსალოდნელი ინგლისის მუშების გამოსვლები. ინგლისის პროლეტარიატი, სთქვა ნიუბოლდმა, ძალიან დაბეჩავებულია ხანგრძლივი უმუშევრობით და დაქსაქსულია მუშათა პარტიის შემთანხმებელი პოლიტიკით, მაგრამ მიუხედავათ ამისა, პროლეტარიატის ძალები იზრდება. ინგლისში მომხდარმა საპარლამენტო არჩევნებმა გამოააშკარავა მუშათა მასების ხმების გაზრდა უფრო რადიკალურად განწყობილთა სასარგებლოთ.

ლოზოვსკის და ლენდერბერენის მიერ წარდგენილი რეზოლიუცია.

კონფერენციაზე რუსეთის საკითხზე მოხსენება გააკეთეს ლოზოვსკიმ და ლენდერბერენმა, რომელთაც წარადგინეს რეზოლიუცია. ამ რეზოლიუციაში აღნიშნულია, რომ ამსტერდამელებმა რურის საკითხში გამოიჩინეს სრული უძლურება. რუსეთის მუშებს აქტიურ დასამარებას უწევდენ მხოლოდ კომინტერნი და პროფინტერნი. გერმანიის და საფრანგეთის კომუნისტების გაერთიანებული გამოსვლა არის დიდი ისტორიული მნიშვნელობის მოვლენა. თუ საფრანგეთის და გერმანიის კომუნისტების გაერთიანებული ბრძოლა ჯერ ჯერობით გამარჯვებით არ დაგვირგვინებულა, ამაში მთავარი დანაშაული ამსტერდამელებს მიუძღვით.

მომენტის მნიშვნელოვანი ამოცანაა: **აგიტაცია ჯარების, ახალგაზრდობის და ქალთა შორის, ყველა ქვეყნების ფაბრიკა-ქარხნების კომიტეტების დელეგაციების გაგზავნა რურის ოლქში, მდგომარეობასთან გასაცნობათ და რურში მომხდარ ამბების ფართოთ გამოსაქვეყნებლად, ბრძოლა სამხედრო საფრთხის წინააღმდეგ უმთავრესად სამთომადნო და სატრანსპორტო მუშების დარაზმვით, ვერსალის ხელშეკრულების წინააღმდეგ საერთაშორისო საპროტესტო დემონსტრაციის მოწყობა, მოქმედების საერთაშორისო კომიტეტის დაარსება, მსოფლიო მუშათა კონგრესის მოწვევა და ფულის შეგროვება ბრძოლის ფონდის შესაქმნელად.** შემდეგ რეზოლიუცია აღნიშნავს, რომ მხოლოდ რევოლიუციონურ ბრძოლას შეუძლია თავიდან აიშოროს ახალი ომები და ახალი კრიზისები.

კლარა ცეტკინის სიტყვა.

კლარა ცეტკინმა თავის სიტყვაში აღნიშნა, რომ რურის ოკუპაცია არის ყველაზე აშკარა გამოხატულება მსოფლიო კაპიტალის შემოტევისა. რურის ოკუპაციის წინააღმდეგ საჭიროა მოეწყოს ერთიანი პროლეტარული ფრონტი საერთაშორისო მაშტაბში.

ავსტრიის წარმომადგენლის მაიერის სიტყვა

ავსტრიის წარმომადგენელმა მაიერმა განაცხადა, რომ ფაშიზმის წინააღმდეგ აგიტაციამ დიდი გამოცოცხლება გამოიწვია მუშებს შორის. შემდეგ მაიერმა სთქვა, „დამოუკიდებელთა პარტიამ მიიღო მიპატიჟება ფრანკფურტის ყრილობაზე მონაწილეობის მიღების შესახებ და ამასთანავე ერთად აქ არიან დღეს დამოუკიდებელ პარტიის პოლონელი და ლიტოველი ამხანაგები. ფრანკფურტის ყრილობას შეიძლება მხოლოდ მივესალმოთ, რადგან იგი აერთიანებს სხვადასხვა პარტიების რევოლიუციონურ მუშებს“. მაიერის განცხადებას მქუხარე ტაშით შეხვდნენ.

ამხ. ლოზოვსკის საბოლოო სიტყვა.

საბოლოო სიტყვაში ამხ. ლოზოვსკიმ აღნიშნა ყრილობაზე წარმოდგენილ ორგანიზაციების გაერთიანების ფაქტი. ფრანკფურტი და საქსონიაო, განაცხადა ლოზოვსკიმ, ამტკიცებენ, რომ მუშები განწყობილნი არიან თავის ოფიციალურ წინამძღოლების წინააღმდეგ და ჩვენ გვიჭერენ მხარს. ბურჟუაზიული პრესა ღრმა მწუხარებით აღნიშნავს საქსონიაში მუშათა თავდაცვის რაზმების ზრდას. ეს იმას ამტკიცებს, რომ ჩვენ სწორ გზას დავადექით.

ყრილობის შემადგენლობა.

ყრილობაზე ესწრება სულ 243 დელეგატი, აქედან 17 დამოუკიდებელ პარტიიდან, 9-გაერთიანებულ სოციალ-დემოკრატიულ პარტიიდან, 2—უპარტიო ორგანიზაციებიდან, ხოლო დანარჩენები არიან კომუნისტები და წითელი პროფკავშირების წარმომადგენლები.

ამიერ-კავკასიის კომორგანიზაციების მეორე ყრილობა

ფინანსიური პოლიტიკა

ამხ. თუმანოვის მოხსენება

ფინანსებს ყურადღება ექცეოდა.

საბჭოთა ხელისუფლების ფინანსიური პოლიტიკის ხაზი ახლობელ პერიოდისათვის გარკვეული იქმნა ჯერ კიდევ წარსულ წელს ჩვენი პარტიის მეთერთმეტე ყრილობაზე. წარსულ წელს ჩვენი ფინანსების განმტკიცების საკითხები, საკითხები ფულის ტრიალის გაჯანსაღებისა, როგორც აუცილებელი წინასწარი პირობის სოფელსა და ქალაქს შორის, ჩვენი სახელმწიფო წარმოებისა, სახელმწიფო ვაჭრობასა და სოფლის მეურნეობას შორის სწორი საქონლის გაცვლის დასამყარებლად, ერთი წუთითაც არ იყო გაშვებული ჩვენი პარტიის ხელმძღვანელი წრეების მხედველობიდან.

ამ მიმართულებით ერთ წელს მტკიცე მუშაობას, ჩვენ ეს შეგვიძლია დაბეჯითებით ვთქვათ, ჩვენი ფინანსებისათვის უშედეგოთ არ ჩაუვლია.

ფინანსიური მეურნეობა ჩვენ მოვაწესრიგეთ, ჩვენი ქაღალდის ფულები დღითი დღე უფრო და უფრო გამოსადეგი ხდება ფულის ტრიალისთვის.

და თუ ჩვენ ამ დარგში ვხედავთ დადებითი შედეგებს, ეს გვიმტკიცებს, რომ წარსულ წელს ჩვენი პარტიის მეთერთმეტე ყრილობის მიერ მიღებული ხაზი სწორი იყო და ახლობელ პერიოდისათვის ცვლილებებს არ მოითხოვს. მაგრამ ზოგიერთი კითხვები ჩვენი ფინანსიური სისტემისა უნდა გადაისინჯოს.

გადასახადის საკითხები.

ყველაზე მნიშვნელოვანი, ყველაზე მტკივანი და ძირითადი კითხვა ჩვენი ფინანსიური პოლიტიკისა ახლობელ პერიოდისათვის არის გადასახადის საკითხები. ამ კითხვაში ჩვენ ვხედავთ სხვა და სხვაობას, რაც უარყოფით გავლენას ახდენს მუშათა კლასის და გლეხების კავშირის მდგომარეობაზე. ამ კითხვის სწორად გადაჭრაზე, ეჭვს გარეშეა, დამოკიდებული იქნება მომავალში ამ კავშირის განმტკიცება; მუშათა და გლეხთა უფრო დაახლოება როგორც პოლიტიკურ, ისე ეკონომიურ სფეროში.

ფულის რეფორმა.

მე არ დავღალავ თქვენს ყურადღებას იმ ბრძოლის აღწერით, რომელიც სწარმოებდა ამ ნიადაგზე, თუმცა შესაძლოა ეს საინტერესო იყო ზოგიერთის მხრივ, და პირდაპირ გადავალ იმ უპირატესობაზე, რომელიც ჩვენ დღეს გვაქვს ამიერ-კავკასიის ფედერაციის სამეურნეო განვითარებაში ფულის რეფორმის გატარების დღიდან ფულის ნიშნის უნიფიკაციის დღემდი. საუკეთესო ილუსტრაცია ამიერ-კავკასიის ერთიანი ფულის ნიშნის შემოღების სარგებლობის და აუცილებლობისა არის სწორეთ სავალუტო ბაზრის მდგომარეობა ამიერ-კავკასიაში. აი სწორეთ, თუ ჩვენ მოვახდენთ ამ სავალუტო ბაზრის მიმოხილვას დეკემბრის და იანვრის თვეებში (რეფორმამდი) და ოქროს კურსის მიხედვით გადავიტანთ საბჭოთა ნიშნებზე (რადგან აზერბეიჯანში და სომხეთში საბჭოთა ნიშნები ბაზარზე ტრიალში მყოფ ვალიუტის დასაფასებელი საზომი იყო), მივიღებთ შემდეგ სურათს: თბილისში ოქროს ათ მანეთიანის ფასი საბჭოთა ნიშნებზე ირყეოდა 130-დან—260 მილიონამდი, ბაქოში—114—375 მილიონამდი, ერევანში—190—400 მილიონამდი. ამ რიგად რყევის ამპლიტუდა თბილისისათვის უდრიდა—130, ბაქოსათვის—260 და ერევნისათვის—210 მილიონს. **სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ბაქოში ის ორჯერ მეტი იყო, ერევანში კი 1 ნახ. ჯერ მეტი ვიდრე თბილისში.**

ვალიუტის ასეთი რყევა ვერ ქმნიდა ხელსაყრელ პირობებს ამიერ-კავკასიის ცალკე რესპუბლიკებს შორის ფინანსიური გაცვლა-გამოცვლის დასაყენებლად. ის უარყოფდა საქონელზე ფასების სწორი კალკულიაციის ყოველგვარ შესაძლებლობას. ვალიუტის ასეთი რყევის დროს, საქონლის გაცვლა-გამოცვლის საქმე ცალკე რესპუბლიკებს შორის ვერ იქნებოდა სათანადო სიმაღლეზე.

რეფორმის გატარების შემდეგ ადგილობრივ სავალიუტო ბაზარს ემჩნევა გარკვეული დაწყნარება, ხდება კურსის ნიველიროვკა.

კურსების ნუსხა რეფორმის დღიდან.

უფრო მეტი სიადვილისათვის ოქროს ათმანეთიანის კურსი მილიონ მანეთებში მე გადამაქვს საბჭოთა ნიშნებზე. ოქროს ათმანეთიანი 11 იანვარს თბილისში უდრიდა 210, ბაქოში—330, ერევანში—380. 21 იანვარს ათ მანეთიანი ფასობდა თბილისში—266, ბაქოში—280, ერევანში—270, პირველ თებერვალს—თბილისში—299, ბაქოში—304, ერევანში—309, თერთმეტ თებერვალს—თბილისში—300, ბაქოში—305, ერევანში—304, 21 თებერვალს—ტფილისში—297, ბაქოში—304, ერევანში—317; პირველ მარტს—თბილისში—321, ბაქოში—306 და ერევანში—316.

ეს ცნობები ამტკიცებენ, რომ რეფორმის გატარების დღიდან ყოველგვარ უწესობას ფინანსებში ბოლო ეღება.

თუ ავიღებთ ოქროს ათ მანეთიანის საშუალო კურსს ცალკე რესპუბლიკებში ნოემბერში და დეკემბერში, მივიღებთ ასეთ სურათს: საქართველოში ოქროს მანეთიანი ნოემბერში ფასობდა 45, დეკემბერში—49, იანვარში კი 13 მილიონი მანეთი. აზერბეიჯანში—ნოემბერში—14 მილიონი, დეკემბერში—25 მილიონი. **ამ რიგად ჩვენ ვხედავთ, რომ ამიერ-კავკასიის ფედერაციაში ფულის სხვადასხვა სისტემების არსებობის დროს თვითეული მათგანი სისტემატიურად თავიდან თავამდე კარგავდა თავის რეალურ ღირებულებას.**

ფულის რეფორმის გატარების და ფულის სისტემის უნიფიკაციის შემდეგ ჩვენ სულ სხვა სურათს ვხედავთ: **ამიერ-კავკასიის ერთიანი ფულის ნიშანი ერთ დონეზე დგას, მისი სიმტკიცე თანდათანობით მაგრდება.**

ემისია.

შემოსავალი, რომლის მიღებასაც აწარმოებენ ემისიის საშუალებით ცალკე რესპუბლიკები, აუცილებლათ სწევდა ყველა რესპუბლიკებში ფულის ნიშნის კურსის ღირებულებას. ეს დაწევა გამოიხატა თითქმის ორჯერ. საერთო ემისია სამივე რესპუბლიკებისა 2 თვეში იძლეოდა შემოსავალს 2 მილიარდ მანეთს ოქროთი. ერთიანი ფულის შემოღებამ 10 იანვრიდან 22 თებერვლამდი მოგვცა ოქროზე 2.250.000 მანეთი და ამიერ-კავკასიის მანეთიანის კურსი თითქმის აბსოლიუტურად ურყევი იყო. ფულის რაოდენობა ერთიანი ფულის ნიშნის შემოღების შემდეგ, მიუხედავათ ამიერ-კავკასიის მაშტაბით ემისიის საგრძნობლად გაზრდისა, ორი წინა თვესთან ნოემბერთან და დეკემბერთან შედარებით, უდრის 6 მილიონ მანეთს.

მიუხედავათ ამიერ-კავკასიის ფულის ნიშნების ემისიის ზრდისა, ეს ემისია უფრო მეტ შემოსავალს იძლევა და ამას გარდა 2 ნახევარჯერ სჭარბობს მოსახლეობის საგადასახადო საშუალებებს, რადგან თითქმის 2 ნახევარჯერ მეტი ფულის ნიშანი გადის ხმარებაში.

ეს ციფრები ურყევათ ამტკიცებენ, რომ ამიერ-კავკასიის ფულის რეფორმამ, წინააღმდეგ ზოგიერთი ამხანაგების მტკიცებისა, მეტად კარგი გავლენა მოახდინა ჩვენი მეურნეობის მდგომარეობაზე და ჩვენი ფულის ბაზარზე და ეს მომავალში ხელს შეუწყობს რესპუბლიკის საწარმოო ძალების განვითარებას.

ქართული ბონები.

ჯერ კიდევ რეფორმის გატარებამდი და ფულის სისტემის უნიფიკაციამდი პოლიტიკა, რომელსაც ატარებდენ ჩვენი წარმომადგენლები, სავსებით უზრუნველყოფდა ქართული ბონების იმიტაციის სარგებლობას და მათ სიმტკიცეს.

ამიერ-კავკასიის ემისიამ, მიუხედავათ თავისი სიდიდისა, გააძლიერა ამიერ-კავკასიის ფულის კურსის შეურყევლად ხალხის ხმარებაში მყოფ ფულის ღირებულება.

ამიერ-კავკასიის ფულის ნიშნებისათვის ამ მეტად ხელსაყრელ პირობებს მეტად ღრმა ეკონომიური საფუძველი აქვს, ფულის ნიშნების სიმტკიცე დამოკიდებულია აგრეთვე ამ ნიშნების ტრიალის რადიუსზე, რამდენათაც ეს რადიუსი ცალკე რესპუბლიკებში უნიფიკაციამდი განსაზღვრული იყო.

და თუ ახლა, ფულის სისტემის რეორგანიზაციის შემდეგ, ვხედავთ ჩვენი ფულის ნიშნებისათვის ხელსაყრელ კონიუქტურას, ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ ჩვენ შეგვიძლია დამშვიდებული ვიყოთ? არავითარ შემთხვევაში.

საჭიროა ბიუჯეტი.

საჭიროა გამოსვლა იმ ქაოსიდან, იმ უანგარიშობიდან, რომელიც იყო ადგილებზე. **საჭიროა გადასვლა სწორათ დაყენებულ, მტკიცედ გამომუშავებულ ბიუჯეტზე.**

როგორი იყო ბიუჯეტი წინათ? უნდა ითქვას, რომ არავითარი ბიუჯეტი არც ერთ რესპუბლიკაში არ ქონიათ.

ის რესურსები, რომელიც იყო ცალკე რესპუბლიკებს განკარგულებაში, მოსახლეობაზე გაწერილ გადასახადების თუ ემისიის სახით, საბჭოთა აღმშენებლობის სხვა და სხვა დარგებს შორის ნაწილდებოდა არა მტკიცე გეგმით, არამედ შემთხვევიდან შემთხვევამდი.

ხარჯების განაწილება.

მაგრამ მიუხედავათ ამისა ჩვენ გვაქვს ზოგიერთი ციფრი ამის შესახებ.

ამიერ-კავკასიის ყველა რესპუბლიკები 1922 წლის განმავლობაში საშუალო რაოდენობით თვიურათ ხარჯავენ 1 მილიარდსა და 600 მილიონ მანეთს ოქროთი, და ამ საერთო ჯამიდან საქართველოს წილს შეადგენს 68 პროც., აზერბეიჯანის—27 პროც. და სომხეთის—5 პროც. ასეთი პროცენტული შეფარდება დამოკიდებულია ყოველ ცალკე რესპუბლიკაში მუშა-ხელის რაოდენობისაგან. საბოლოო ანგარიშით რესპუბლიკას ბიუჯეტი მუშა-ხელზე ძირითადი ხარჯით ისაზღვრება. მუშა-ხელი, რომლითაც სარგებლობენ ჩვენი რესპუბლიკები, პროცენტულ მიმართულების მხრით შემდეგია: საქართველოს წილს მუშა-ხელის მთელი ჯამიდან 50,2 პროც. შეადგენს, აზერბეიჯანის, ნავთის მრეწველობაში ჩაბმულ მუშა-მოსამსახურეთა გამოკლებით,—37,8 პროცენტს და სომხეთის—12 პროცენტს. ამ დამოკიდებულების გათვალისწინებით ჩვენ შეგვიძლია გავერკვეთ ამიერ-კავკასიის ბიუჯეტში. იანვარ-თებერვალ-მარტის მეოთხედში ჩვენ ვაძლევთ საქართველოს ემისიის 50—55 პროცენტს, აზერბეიჯანს—35—40 პროცენტსა და სომხეთს—11 პროც. და, აი, წარსულ 2 თვის გამოცდილება ამოწმებს იმას, რომ ეს განაწილება სავსებით სწორი იყო და ფედერაციის ყოველ რესპუბლიკის ხვედრ წონას შეეფერებოდა.

თუ ჩვენ იმ წესს მივმართავთ, რომლის მიხედვით კომისარიატებსა და დაწესებულებებში ფულის ნიშნები იხარჯებოდა, ჩვენ შემდეგს დავინახავთ: საქართველოს ფინანსთა სახალხო კომისარიატი სახელმწიფოს მთელი რესურსების 30,5 პროცენტამდი ხარჯავდა, აზერბეიჯანის ფინ. სახ. კომისარიატი 32,1 პროცენტსა და სომხეთის—სახელმწიფო რესურსების 5,6 პროცენტს. საქართველოს სამხედრო და საზღვაო სახალხო კომისარიატი 4,28 პროც., აზერბეიჯანი—9,1 პროცენტს და სომხეთის—13 პროცენტს. სახალხო კომისართა საბჭო და ცენტრ. აღმასკომი საქართველოში ხარჯავდენ 4,7 პროცენტს, აზერბეიჯანში—6,8 პროცენტსა და სომხეთში—18,9 პროცენტს.

იმ დროს, როდესაც საქართველოსა და აზერბეიჯანში ფინანსთა სახალხო კომისარიატს მთელი სახელმწიფო რესურსების 30 პროც. ხვდება, სომხეთში ეს რაოდენობა 5 პროც. უდრის.

და ეს მიუხედავათ იმისა, რომ საქართველოსა და აზერბეიჯანის ფინანსთა სახალხო კომისარიატები, უთუოთ, მეტათ არ ჯდებოდა, ვიდრე ფინანსთა სახ. კომისარიატი სომხეთისა და ეს მით აიხსნება, რომ ბიუჯეტის უქონლობის გამო შემთხვევიდან შემთხვევამდე წარმომდგარ საჭიროებებისათვის სახელმწიფო რესურსების განაწილების გეგმა ფინანსთა სახალხო კომისარიატის ხარჯთაღრიცხვებიდან კმაყოფილდებოდა. ასეთი წესი არ შეიძლება რაციონალურათ ჩაითვალოს.

ჩვენს წინაშე სდგას მორიგი ამოცანა ბიუჯეტის სწორი დაწყობისა უახლოეს დროში.

გავიდა უკვე ორი თუ მეტი თვე მას შემდეგ, რაც ჩვენ გვაქვს ფაქტიურათ გაერთიანებული ორგანო. რესურსების განაწილებისას ამჟამათ ჩვენ გვიხდება გამოსვლა წარსულის გამოცდილებით აგებულ საორიენტაციო კვარტალურ ბიუჯეტიდან. ამ მცირე საანგარიშო ცნობების მიხედვით, რომელიც ჩვენ გვაქვს 22 წლისათვის, ეს საორიენტაციო კვარტალური ბიუჯეტი გასავლის ნაწილში იანვარ—მარტის პერიოდში 5 ტრილლიონი მანეთით განისაზღვრება, რაიც ოქროს ანგარიშით თვიურათ 3.350.000 მან. შეადგენს. ამ თანხას ჩვენ ვანაწილებთ პროცენტულ მიმართებით ცალკე რესპუბლიკებს შორის. წლის მეოთხედისათვის წარმოდგენილი შემოსავალი 5 მილიონი ოქროთი ანუ თვეში 1.657 ათასი მანეთით გამოიხატება, რაიც ჩვენი ბიუჯეტის გასავლის 50 პროცენტს შეადგენს.

ეს ციფრები არ ასურათებენ სავსებით ჩვენს ბიუჯეტს. ჩვენ გამოვრიცხეთ ყველა ხარჯები, რომლებსაც რესპუბლიკა პირდაპირ გადასახადებისა და შემოსავლებიდან ფარავს. ამ საორიენტაციო ბიუჯეტიდან მეტათ ძნელია რაიმე დასკვნის გამოტანა.

საჭიროა აპარატის შემცირება.

როგორი მიმართულებით უნდა შევცვალოთ ჩვენ სახალხო მეურნეობის ცალკე დარგების დაკმაყოფილება.

ჩვენი ბიუჯეტის პირველ-ხარისხოვანი ამოცანაა უნაყოფო ხარჯთა შემცირება და ამ შემცირების ხარჯზე წარმოებითი საჭიროებებზე თანხის გაღების გადიდება.

თუ ჩვენ შევადარებთ ჩვენს ხარჯებს სახელმწიფო აღმშენებლობის ისეთ დარგებში, როგორიც არიან სამხედრო, ადმინისტრატიული, კულტურულ-საგანმანათლებლო, სამეურნეო, სატრანსპორტო და ფოსტა-ტელეგრაფის კავშირი—იმ ხარჯებთან, რომლებიც ამიერ-კავკასიაში ომის წინა ხანაში ილებოდა, ჩვენ მივალთ ჩვენი ადმინისტრატიული აპარატის ულმობელ, სასტიკ შემცირების საჭიროების დასკვნამდე.

ამიერ-კავკასიის ფედერაციის ცენტრალურ აღმასკომის მიერ უკვე გამოტანილია დეკრეტი საბჭოთა ყველა აპარატების 10 პროც. შემცირების შესახებ. მაგრამ, სრულიად ცხადია, რომ მხოლოდ ამ შემცირებით დაკმაყოფილება ჩვენ არ მოგვიხდება და საჭიროა უახლოეს მომავალში სახელმწიფო აპარატების გაცილებით უფრო სასტიკი შემცირება,

ადგილობრივი ბიუჯეტი.

აქამდე ადგილობრივ ბიუჯეტის მდგომარეობა ისეთი იყო, რომ ცენტრი არა მარტო აქ, თფილისში, არამედ დანარჩენ რესპუბლიკებშიაც არავითარ ყურადღებას არ აქცევდა მას. ადგილებს მიკუთვნებული ჰქონდათ სრული თავისუფლება. ზოგიერთი ადგილები, განსაკუთრებით ძლიერნი ეკონომიურათ, ასე თუ ისე აგვარებენ თავიანთ საქმეებს. დანარჩენი კი სრულიათ ვერ აკმაყოფილებენ და თავიანთ საჭიროებასა და მცირე საჩუქრების გამოსახვეწნათ აქ ჩამოდიან.

ასეთი მდგომარეობა მომავლისთვის ვერ დარჩება. რამდენადაც ჩვენ ადგილებს ხარჯების მთელ რიგს ვავალებთ, რომლებიც წინეთ სახელმწიფოს გასავლის წესით კმაყოფილდებოდენ, იმდენათ რასაკვირველია, უნდა დაუთმოთ მათ განსაზღვრული თანხები, ავღრიცხოთ და გავანაწილოთ ჩვენს განკარგულებაში არსებული თანხები ცენტრალურ ორგანოთა რესპუბლიკების ორგანოთა და ადგილობრივ ორგანოთა შორის.

ჩვენ უკვე წარუდგინეთ ცენტრალურ აღმასკომს პროექტი დეკრეტისა, რომელიც საზღვრავს სახელმწიფოებრივ, რესპუბლიკურსა და ადგილობრივ რესურსებსა და ანიჭებს ადგილებს განსაზღვრულსა და საკმაოთ დიდს ნაწილს არსებულ სახელმწიფოებრივ გადასახადებისას და აწესებს იმ გადასახადთა ნუსხას, რომლების შემოღების უფლება მათ ეძლევათ.

(შემდეგი იქნება)

დიდათ საყურადღებო და საჭირო ისტორიული შესწორება

სამწუხაროდ, ამ დროებით მოკლებული ვარ ყოველგვარ შესაძლებლობას ყოველდღიურათ გაზეთები გადავიკითხო. დღეს გადავფურცლე, და არა წავიკითხე, საიუბილეო ნომრები „კომუნისტი“-ს (14 მარტი, 1923 წ.) და ფ. მახარაძის „მოგონება“-ში თვალი მოვკარი ორიოდე ასეთ სტრიქონებს:

„პირველათ ქართველებში მე და ნოე ჟორდანიას მოგვიხდა გაცნობა სოციალ-დემოკრატიულ მოძრაობასთან მისი თეორიითა და პრაქტიკით. ეს მოხდა ვარშავაში 1891—93 წ. ჩვენი საშუალებით სოციალ-დემოკრატიული იდეია ვრცელდება საქართველოში“ და სხვა და სხვა...

ეს ყოვლად შემცდარი აზრია.

ჟურნალ „კომუნისტური ინტერნაციონალის“ რომელიღაც ნომრისათვის მე უკარნახე ამხანაგს მოსკოვში სტატია: **„საქართველოს მენშევიკების გალერეია“.**

რა იყო ნოე ჟორდანია, მე იქ უჩვენე მხოლოდ ტიტველი ფაქტიური გაშუქებით მომენტისა ტფილისში (საქართველოში, და საზოგადოთ საერთაშორისო მასშტაბით) წარსულ საუკუნის 80-ან წლების მიწურულში, სწორეთ მეორე ინტერნაციონალის პირველ ყრილობის ჟამს (1889 წ.)...

მართალია, ჟორდანია ლაყბობდა სოც.-დემოკრატიულ ფრაზებს ლასსალის სიტყვებით, მაგრამ თითქმის „მონარქისტიც“-კი იყო... ის მაშინ ათავებდა ტფილისის სემინარიის კურსს... მასთანვე ერთად ათავებდა ჩვენი ამხანაგიც—ფ. მახარაძე, და ისინი სხვა რამოდენიმე მათი ამხანაგებთან ერთად, ჩემი დახმარებით, შევიდენ ვარშავის ვეტერინალურ ინსტიტუტში, სადაც მხოლოდ გარდა ტომსკის (ციმბირში) ერთი რომელიღაც უმაღლეს სასწავლებლისა, სემინარიელებს ჰქონდათ ნებადართული შესულიყვნენ:... ჩემი კარგი ამხანაგი ფ. მახარაძე და ჟორდანია მაშინ იყვნენ „ზაქარისტები“ (აწ მოხუცი ზაქარია ჭიჭინაძის სახელით, ბუკინისტის, მაშინ ილია ჭავჭავაძისა და სხვა ფეოდალური პატრიოტების წინააღმდეგ პროტესტანტისა) და „ნაროდნისტები“ (ნ. დ.—ნაროდნოვოლეცი რევოლიუციონერი ივ. ჯაბადარის სახელი, რომელიც აგრეთვე წინააღუდგა ქართველ ფეოდალურ პატრიოტებს ჟურნალ „ჩრდილოეთის მოამბეში“).

მე სამი წლის განმავლობაში არ ვყოფილვარ ტფილისში (1886—88 წ) გარდა თითო-ოროლა დღით არალეგალურ ჩამოსვლისა. ის იყო ამ დროს სულ გადმოვსახლდი ტფილისში და არა ლეგალურად ვცხოვრობდი.

ვინ და სად რა იყო—მე ძლიერ კარგად ვიცი, რადგან გარეშე, იატაკ-ქვეშ (подполье) ცხოვრებისა, სხვა პირად ცხოვრებას მე არ ვეწეოდი.

ამხ. ფ. მახარაძე და მოქალაქე ნ. ჟორდანია გაემგზავრენ ვარშავაში ჯერ კიდევ გამოურკვეველნი, ბევრი რომ ვსთქვათ, შეიძლება ისინი იყვნენ „ლასსალიანები“. და შესაძლებელია, რომ ვარშავაში გახდენ მარქსისტებად.

მაგრამ ამაზე არც „საქართველოს“ და არც ჩვენ აქ, კავკასიაში,—არაფერი გაგვიგია, გარდა ამხანაგ ფილიპეს ერთი პოლიტიკური სტატიისა მახზანელის წინააღმდეგ („დეპო კასსებზე“, როგორც ქართველ ხალხის მხსნელებზე), რომელიც მე და დაუვიწყარმა ეგნატე ინგოროყვამ ბევრი ვასწორეთ (მაშინ ამხ. ფილიპეს ჯერ კიდევ ენა არ უვარგოდა,—„ანტონისებური“, ე. ი. „ფურცელაძისებური“ იყო მისი სტილი), მაგრამ დასაბეჭდათ მაინც არ გამოდგა... შემდეგ, თვით ჩვენ აქედან, ე. ი. ჩვენმა წრემ ტფილისში (რასაკვირველია, **ნ. ჟორდანიას სოც.-დემოკრატიულ გავლენის გარეშე**) ამხ. ფ. მახარაძეს ვარშავაში მივანდეთ მიეღო ჩვენთვის საზღვარგარეთიდან გამოწერილი არა-ლეგალური მწერლობის ტრანსპორტი... და კიდეც ჩავარდა მეფის პოლიციის ხელში...

ჯერ ეს ვიკმაროთ, დანარჩენი შემდეგისათვის. ხოლო ძლიერ დაინტერესებულთა ვურჩევ გადაიკითხონ ჟურნალ **„კომუნისტურ ინტერნაციონალში“** სტატია: **„საქართველოს მენშევიკების გალერეია“**, რადგანაც ის პოლემიკა კი არ არის, არამედ ისტორიის ფაქტიური ხმაა...

მომავლისათვის, თუ ფიზიკური ძალებმა არ მიღალატეს, ვეცდები წარსული საუკუნის მე-80-ნი და მე-90 ნი წლები და შემდეგი წლებიც მოვიგონო და სინამდვილე აღვადგინო,—რასაკვირველია, ყოველივე ეს იმდენად, რამდენადაც მე ვიყავი მოძრაობის აქტიური მონაწილე—არც მეტად და არც ნაკლები...

ვთხოვ ყველა იმ გაზეთებს, სადაც დაიბეჭდა ამხ. ფ. მახარაძის „მოგონებანი“, ეს „შესწორებაც“ გადაბეჭდონ.

მიხ. ცხაკაია.

1923 წ. 19 მარტი.

ქ. ტფილისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რადიო-დეპეშები

ამხ. ლენინის ჯანმრთელობა

მოსკოვი, 21 მარტი. ჯანმრთელობის მდგომარეობაში რაიმე განსაკუთრებული ცვლილება არ მომხდარა.

21 მარტი, 1 საათი.

პროფესორები: მინკოვსკი, ფერსტერი, კრამერი.
პრივატ-დოცენტი: კოჟევნიკოვი.
ჯანმრთელობის სახალხო კომისარი: სემაშკო.

რურის ოლქის ოკუპაცია

საგადასახადო ფონდების რეკვიზიცია.

მოსკოვი. 22 მარტი. მიუნსტერში და გლადბახში ფრანგებმა რეკვიზიცია უყვეს უმუშევართა დამხმარე კასის 10 მილ. მარკას და რკინის გზელთა კავშირის 60 მილ. მარკას. რეიტეში, სადაც რეკვიზიცია უყვეს აგრეთვე უმუშევართა ფულს, საქმე მივიდა უმუშევართა აჯანყებამდე, რომელთა შორის პოლიციამ მოახდინა მრავალი დაპატიმრებანი.

გერმანელ რკინის გზელების დათხოვა.

ბერლინი. 22 მარტი. რეინლანდის კომისიის უკანასკნელი დადგენილების თანახმად, რეინლანდში სამსახურიდან დაითხოვეს 184 გერმანელი მოსამსახურე, უმთავრესად რკინისგზელები და საბაჟოს მოსამსახურეები.

საპროტესტო გაფიცვა.

ბერლინი 22 მარტი. ესსენში გამოცხადებულია 24 საათის გაფიცვა, ნიშნად პროტესტისა იმის წინააღმდეგ, რომ ოკუპანტებს მიჰყავთ მძევლები.

ციხეები ველარ იტევენ.

ბერლინი, 22 მარტი. 15 კაცისათვის გამოანგარიშებული ვერდენის წინასწარი ციხე ამ ჟამად ავსებულია დაპატიმრებულ გერმანელებით, რომელთა რაოდენობა ციხეში ამ ჟამად აღემატება 100 კაცს. ყველა დაპატიმრებულთა დანაშაული მდგომარეობს იმაში, რომ მათ არ მოისურვეს მუშაობა მტაცებლების ძალაუფლების ქვეშ.

რურის გარშემო

სიძვირის ზრდა

პარიზი. 22 მარტი. სამთამადნო მრეწველობის მუშებს შორის, უმთავრესად ლანდებრეიერის რაიონში, ადგილი აქვს მღელვარებას, რომელიც გამოწვეულია პირველი მოთხოვნილების საგნებზე ფასების შეუჩერებელი ზრდით.

გერმანიის საპროტესტო ნოტა

ბერლინი. 22 მარტი. გერმანიის წარმომადგენელმა პარიზში გადასცა საფრანგეთის მთავრობას წერილობითი საპროტესტო განცხადება რურის ოლქში ოკუპანტების განუწყვეტელი ძალადობის წინააღმდეგ. ეს განცხადება წარმოადგენს გერმანიის 25 თებერვლის საპროტესტო ნოტის გაგრძელებას.

აქებს თავის ლაქიებს

პარიზი. 22 მარტი. პარიზში გამართულ ჟურნალისტების ბანკეტზე, პუანკარემ ქება შეასხა მათ რურის საკითხში მათი პოზიციის გამო.

ბონარ ლოუს განცხადება

ლონდონი. 22 მარტი. თემთა პალატაში ბონარ ლოუმ განაცხადა, რომ საფრანგეთის მთავრობამ შეკითხვა მისცა ინგლისის მთავრობას, თანახმაა თუ არა უკანასკნელი შეუერთდეს იმ ზომებს, რომელიც უნდა გატარდეს გერმანიის განიარაღების საკითხში და მიიღოს მონაწილეობა საკონტროლო კომისიაში, ვერსალის ხელშეკრულების განმტკიცების მიზნით. ბონარ ლოუს განცხადებით, ინგლისის მთავრობამ დაავალა გენერალ ლინკმეხს მიიღოს მონაწილეობა ა კომისიაში.

რეინლანდის გამოყოფის წინააღმდეგ

ბერლინი. 22 მარტი. მთელი ინგლისის პრესა, მასთან ერთად „ტაიმსიც", იმ აზრს გამოსთქვამს, რომ იმ შემთხვევაში, თუ რეინლანდი რომელიმე ფორმაში გამოყოფილი იქნება გერმანიისაგან, ყოველგვარი განხილვა საკონტრიბუციო საკითხისა იქნება უშედეგო და ასეთ პირობებში საკითხის გადაჭრის ყველა გეგმები მიუღებელია.

ამერიკის წრეების უკმაყოფილება

ბერლინი. 22 მარტი. „ივნინგ პოსტ"-ის სიტყვით, ამერიკის, წრეებში უფრო და უფრო იზრდება უკმაყოფილება ევროპის მდგომარეობით, ვინაიდან ამერიკის ზოგიერთა სამრეწველო წრეები სერიოზულად გრძნობენ იმ დანაკლისს, რომელიც გამოწვეულია რურში შექმნილი მდგომარეობით

გერმანიის განიარაღება.

რომი. 22 მარტი. ინგლისის მთავრობა შეუერთდა საფრანგეთის წინადადებას გერმანიის მიმართ განიარაღების საკონტროლო კომისიის მუშაობის განახლების შესახებ. კომისიის თავმჯდომარეთ იქნება დანიშნული გენერალი ნოლლე.

საფრანგეთის გეგმა მზად არის.

რომი. 22 მარტი. პარიზის პოლიტიკურ წრეებში აცხადებენ, რომ საფრანგეთმა უკვე შეიმუშავა თავისი წინადადებანი გერმანიისადმი და უკანასკნელს დარჩენია მხოლოდ შეუდგეს მოლაპარაკებას საფრანგეთის და ბელგიის მთავრობებთან.

უეცარი ცვლილება.

პარიზი. 22 მარტი. საფრანგეთის პრესა იტყობინება, რომ გერმანიის მმართველი წრეების დამოკიდებულება რურის ოკუპაციო ხელისუფლების მიმართ მოულოდნელად შეიცვალა. ფიქრობენ, რომ ეს ცვლილება წარმოადგენს ბერლინში მიღებული პოლიტიკის ახალი ხაზის შედეგს.

პრესტიჟის დასაცავათ.

მოსკოვი 22 მარტი. პარიზიდან იტყობინებიან, რომ ბრიუსელის კონფერენციას არ მოუტანია ჯერ დამამშვიდებელი შედეგები, რომლებსაც ელოდენ საფრანგეთის წრეები. პარიზში ფიქრობენ, რომ ბონარ ლოუ ოფიციალურათ არ ჩაერევა, მაგრამ მხოლოდ ის ფიქრი, რომ ინგლისის მთავრობას შეუძლია მისცეს გერმანიას დარიგება, აღშფოთებს საფრანგეთის გაზეთებს. პარიზში დარწმუნებული არიან, რომ გერმანია წავა დათმობაზე, მაგრამ თავისი პრესტიჟის დასაცავათ საფრანგეთს სურს მიაღწიოს გერმანიის ოფიციალურ კაპიტულაციას.

საფრანგეთ-გერმანიის მოლაპარაკების საკითხი

არა ოფიციალური მოლაპარაკება.

ლონდონი. 22 მარტი. იტყობინებიან, რომ საფრანგეთს და გერმანიას შორის უკვე დაიწყო არა ოფიციალური მოლაპარაკება საკონტრიბუციო საკითხის შესახებ. ეს მოლაპარაკება დაიწყო ამ დღეებში შვეიცარიაში, სადაც ერთი-ორჯერ შეხვდენ საფრანგეთის წარმომადგენელი შვეიცარიაში დიუბუა და გერმანიის ფინანსისტი ბერგმანი. შეხვედრის დროს ბერგმანმა წარუდგინა დიუბას საკონტრიბუციო გეგმის საერთო სქემა რომელიც მისაღებია გერმანიის მთავრობისათვის. დიუბუა გაემგზავრა პარიზში, რათა წარუდგინოს ეს გეგმა პუანკარეს. კომპეტენტურ წრეებში ფიქრობენ რომ შეთანხმება მიღწეული იქნება მახლობელ სამი კვირის განმავლობაში.

გერმანიის ამბები

გერმანიის ქონების გაყიდვა.

პარიზი. 22 მარტი. მარტის ბოლო რიცხვებში კამერუნში დაიწყება იქ ჩამორთმეულ გერმანიის ქონების საჯარო ვაჭრობით გაყიდვა. საჯარო ვაჭრობა გაგრძელდება აღნიშნული ქონების სრულ ლიკვიდაციამდე.

მდგომარეობა მწვავდება.

მოსკოვი. 22 მარტი. სილეზიის რაიონში გაფიცვები მწვავე ხასიათს ღებულობს. პროფ.-კავშირების სურვილის მიუხედავათ მრეწველებთან მოლაპარაკება არ შესდგა. მრეწველებმა არ მიიღეს პროფ კავშირების მოთხოვნილება საქარხნო კომიტეტების დათხოვნილ წევრების უკან მიღების შესახებ. მოსალოდნელია საერთო გაფიცვა.

გერმანიის „თეთრი წიგნი".

ბერლინი. 22 მარტი. გერმანიის მთავრობამ შეადგინა და გადასცა რეიხსტაგს „თეთრი წიგნი", რომელშიაც დაგროვებულია ყველა ოქმები და აქტები ფრანგების რურის ოლქში შეჭრის შესახებ. წიგნში მოიპოვება აგრეთვე გერმანიის მთავრობის ყველა ნოტები.

გზაზე მუშათა მთავრობისაკენ.

მოსკოვი. 22 მარტი. საქსონიის კომუნისტურ პარტიის საოლქო კონფერენციამ დაადასტურა შეთანხმება კომუნისტებსა და გაერთიანებულ სოციალ-დემოკრატებს შორის დადებული. გაერთიანებულ სოციალ-დემოკრატებმა უარი სთქვეს ყოფილ იუსტიციის მინისტრის ცეიხტერის კომუნისტებისათვის არა სასურველ კანდიდატურაზე რომელიც ეკუთვნოდა მემარცხენე, გაერთიანებულ სოციალ-დემოკრატებს.

შიში მუშათა რაზმების წინაშე.

მოსკოვი. 22 მარტი. საქსონიის კომუნისტებსა და სოციალ-დემოკრატების შორის მიღწეული შეთანხმება პროლეტარული რაზმების შედგენის შესახებ დიდ შიშს იწვევს ბურჟუაზიის რიგებში. გაზეთ „ბერლინერ ტაგებლატ"-ში უკვე ელანდებათ სამოქალაქო ომის აჩრდილი. გაზეთი პროლეტარულ რაზმებში ხედავს წითელი არმიის ჩანასახს, მაგრამ იმაგრებს გულს და აღნიშნავს, რომ უკიდურეს ელემენტებს პროვოკაციული მოქმედება აძლევს მუშებს თავდაცვის უცილო უფლებას და ამასთან დაუმატებს, რომ მთავრობამ დაუყოვნებლივ უნდა გადადგას ნაბიჯები უკანონოთ არსებულ მემარჯვენე კავშირების სერიოზულ გაწმენდისაკენ. ტიურინგიისა და საქსონიის გარდა პროლეტარული რაზმები დგება აგრეთვე ბავარიაში, მაგრამ აქ კომუნისტები და სოციალ-დემოკრატები თავდაცვის საქმეში მოქმედებენ ცალცალკე.

ახლო აღმოსავლეთში

ქემალ ფაშის მოგზაურობა

ანგორა 21 მარტი. ქემალ-ფაშის მოგზაურობა ადანიის ვილაეტში გრძელდება. სადგურ კარაკაჩზე წარმოთქმულ სიტყვაში მან განაცხადა, რომ განზრახულია ეკონომიურ კონგრესის დადგენილებათა ცხოვრებაში გატარება და აგრეთვე კონგრესების მოწვევა სანიტარულ და განათლების საკითხების შესახებ. ტერზუსში ქემალ-ფაშამ წარმოსთქვა სიტყვა მიწის მუშაობის მნიშვნელობის შესახებ.

საფრანგეთის ჰაეროპლანის ხელში ჩაგდება.

ანგორა. 21 მარტი. ოპერატიულ ცნობის თანახმად ოსმალეთის ტერიტორიაზე კალისის ახლოს (ადანიის ვილაეტი) ჩამოვარდა საფრანგეთის ჰაეროპლანი. ჰაეროპლანის დასახსნელად გაეშურა რამოდენიმე შეიარაღებული ფრანგი—ცხენოსნები, რომლებიც გადავიდნენ საზღვარზე. მოხდა შეტაკება, მაგრამ ჰაეროპლანი მაინც ოსმალებს დარჩა.

საფრანგეთის ბატონობის წინააღმდეგ.

ბერლინი 22 მარტი. საფრანგეთის პრესა ბეირუთიდან იტყობინება, რომ ადანაში ანტიოქიის და ალექსანდრეტას მოსახლეობამ არა ერთხელ მიმართა ქემალ-ფაშას წერილობითი პროტესტით ფრანგების ძალადობის წინააღმდეგ, რომელსაც განიცდიან ფრანგების მიერ დაკავებულ სირიის ოლქებში მცხოვრები ოსმალური მოსახლეობა.

ლონდონის თათბირი

თათბირის მოხსნა.

ბერლინი. 23 მარტი. ლონდონიდან მიღებულ ცნობებით, დაიწყო მოკავშირეთა წარმომადგენლების თათბირი ოსმალეთის კონტრ-წინადადებების განსახილველად. თათბირს თავმჯდომარეობს ლორდ-კერზონი. საბერძნეთის წარმომადგენელია ვენიზელოსი.

ირჩევენ „პოლიტიკის ხაზს".

ლონდონი. 22 მარტი. ლონდონში დღეს დაწყებული მოკავშირეთა ექსპერტების თათბირი, როგორც ფიქრობენ, გამოარკვევს მოკავშირეების და ოსმალეთის კონფერენციის განახლების დროსა და ადგილს და აირჩევს პოლიტიკის ხაზს, რომელიც მოკავშირეებმა უნდა გაატარონ ამ კონფერენციაზე.

იაპონიაც მონაწილეობს.

ბერლინი. 22 მარტი. ლონდონში ჩავიდა იაპონიის ექსპერტი, რომელიც მონაწილეობას მიიღებს ოსმა-

მენშევიკების კიდევ ახალი სტამბის აღმოჩენა

10 მარტს საქართველოს საგანგებო კომისიამ მიაგნო მენშევიკების მე-2 სტამბის სადგომის კვალს. როგორც გაიგო ამის შესახებ სტამბაში მომუშავე მანასე გოგვაძემ, კიდევ თავის მუშაობის დაუმთავრებლათ, წავიდა და გაფრთხილებით წინადადება მისცა ორ თავის ამხანაგებს დაუყოვნებლივ დაენგრიათ სტამბის სადგომი, ვინაიდან მან გაიგო რომ საგანგებო კომისიას მიკვლეული აქვს სტამბის სადგომი და თვალყურს ადევნებს მას.

15 მარტს საგანგებო კომისიამ დაატყვევა მანასე გოგვაძე და აღმოჩენილ იქნა სტამბა, რომელიც იყო მე-9 უბნის სამოვოლნაიას ქუჩაზე, ქალაქის განაპირას ფეხსაცმელების მკერავ გიორგი მუჯირიშვილის სახლში, საიდუმლო გზა სტამბაში ასეთი აღმოჩნდა: სახლთან მიშენებული იყო სამზარეულოსათვის ფიცრული, რომელშიც მოთავსებული იყო პლიტა, პლიტაში იყო ხვრელი, საიდანაც საიდუმლო გზა მიდიოდა სტამბის სადგომში. ეს სადგომი წარმოადგენდა გორაკში გამოთხრილ დიდ ხვრელს რომელიც მოწყობილი იყო როგორც ოთახი.



საიდუმლო სტამბა.

ჩვენების ჩამორთმევა.

დაკითხვის დროს მანასე გოგუაძემ აჩვენა, რომ მას თვითონ უშუალოდ არ უმუშავნია, მაგრამ აძლევდა დარიგებებს, ხელთნაწერებს, აღდგენდა კავშირს მენშევიკების ცეკასა და სტამბის შორის. სტამბა რომელთანაც მე მქონდა კავშირი, არ არის ის, რომელიც აღმოჩენილ იქნა საგანგებო კომისიის მიერ 7 მარტს რუსიაშვილის სახლში.

ციხიდან გამოსვლის შემდეგ მენშევიკების ცეკას ერთი წევრი მოვიდა ჩემთან და წინადადება მომცა მემუშავნა პარტიულ არალეგალურ სტამბაში. მე დავთანხმდი. სტამბა მოთავსებული იყო სამოვოლნაიას ქუჩაზე ხელოსან გიორგი მუჯირიშვილის სახლში. მე იქ ვმუშაობდი დაზგაზე დრო გამოშვებით, საკთან ერთად გარდა უშუალო მუშაობისა დაზგაზე, სადაც იბეჭდებოდა გაზეთები: „დამოუკიდებელი საქართველო" და „ჩვენი ერთობა", მე ვმუშაობდი კორექტორადაც და კავშირი მქონდა ცეკასთან.

სახლის პატრონის ჩვენება.

სახლის პატრონმა, გიორგი მუჯირიშვილმა, დაკითხვის დროს აჩვენა შემდეგი.

ორი თვის წინეთ შემხვდა ჩემი ნაცნობი სახალხო გვარდიიდან **სააკი**, რომელსაც დაუწყე ლაპარაკი და უჩვენე ჩემი ბინა. მეორე დღეს ის მოვიდა ჩემთან და მოიტანა ორი გირვანქიანი თოფრა და მთხოვა შემენახა. მე შევეკითხე თუ რა იყო თოფრაში. მან მიპასუხა, რომ შიდ არის შრიფტი. ამის შემდეგ მე წინადადება მივეცი მას შეენახა თოფრა სახლთან მიშენებულ ფიცრულში. მეორე დღეს ის ისევ მოვიდა ჩემთან, დამიწყო გამოკითხვა თუ რას ვაკეთებ, რამდენს ვშოულობ ფულს და მომცა 3 მილიონი მანეთი. მეორე დღეს ის კიდევ მოვიდა ჩემთან და მოიტანა ვალიკი და მთხოვა ისიც შემენახა. მეორე დღის საღამოს 8—9 საათზე მან მოიტანა კიდევ მაგიდა და ყუთი შრიფტის გასანაწილებლად და ჩამაბარა. მაშინ მე მივხვდი რაში იყო საქმე და ვსთხოვე გავენთავისუფლებინე ასეთ საფრთხისაგან. მე მან დამამშვიდა და დამარწმუნა იმაში, რომ არავითარი საფრთხე მე არ მომელის.

დილის 4 საათზე მოვიდა ისაკი და მოიყვანა თან ვილაც. მოსვლისთანავე დაიწყეს შრიფტის დაშლა და აწყობა. იმუშავეს ორ დღეს და დაბეჭდეს ერთი ფურცელი და შემდეგ ორი კვირის განმავლობაში კი მთელი ნომერი „თავისუფალი საქართველო"-სი. რამდენი ცალი დაბეჭდეს არ მახსოვს. მუშაობა დაამთავრეს 10 მარტს. შემდეგ მოვიდა ისაკი და წაიღო შრიფტი და ვალიკი, მითხრა ხვალ მოვალო მაგრამ შემდეგ არ მოსულა.

ვენიზელოსის ჩამოსვლის მიზანი.

ლონდონი. 22 მარტი. ინგლისის გაზეთების აზრით, ლონდონში ვენიზელოსის ჩამოსვლა, მოკავშირეთა თათბირზე მონაწილეობის მისაღებად, აიხსნება იმ გარემოებით, რომ იმ უმთავრეს საკითხთა შორის, რომლებიც უნდა განიხილოს თათბირმა, იქნება აგრეთვე საკითხი საბერძნეთის კონტრიბუციის შესახებ.

ლეთის კონტრ-წინადადებათა განსახილველად გახსნილ თათბირზე.

იმედი აქვთ, რომ მოხდება საზავო ხელშეკრულებაზე ხელის მოწერა.

ბერლინი 22 მარტი. ლონდონის ოფიციალურ წრეებში იმედი აქვთ, რომ აღდგომის შემდეგ შესაძლებელი იქნება ლოზანაში შემუშავებულ საზავო ხელშეკრულების პროექტზე ხელის მოწერა. რომელიც ფიქრობენ, ლონდონის თათბირი გაგრძელდება ერთ კვირაზე მეტს.

კომისიების არჩევა.

ლონდონი. 22 მარტი. დღეს მოკავშირეთა წარმომადგენლების პირველ სხდომაზე ოსმალეთის საკითხის შესახებ, თავმჯდომარეობდა ლორდ კერზონი. საერთო განხილვის შემდეგ არჩეულ იქნა კომისიები, რომლებშიც გარჩეულ იქნება ოსმალეთის კონტრ-წინადადების სხვადასხვა პუნქტები.

ინგლისის ამბები

ლიბერალურ პარტიების შეერთება.

ბერლინი 22 მარტი. თემთა პალატის ორივე ლიბერალური პარტიების ფრაქციებმა დაარსეს კომისია ლოიდ-ჯორჯის და ასკვიტის მეთაურობით ამ პარტიების შეერთების მოსამზადებლად.

კამათი სნოუდენის წინადადების გამო.

ლონდონი. 22 მარტი. თემთა პალატაში დიდი ინტერესით მოისმინეს კამათი სნოუდენის წინადადების გამო. პალატის წევრებს, როგორც სჩანს, ძლიერ აღელვებს სნოუდენის რწმენა მათ მიერ დასახული მიზნის მიღწევაში. სნოუდენმა წარმოსთქვა ვრცელი სიტყვა, რომელშიაც კრიტიკაში გაატარა მიწად-მოქმედების მრეწველობის და მეურნეობის არსებული სისტემა. სნოუდენის აზრით, ამ დარგებში არსებული მდგომარეობა აშკარად ამტკიცებს კაპიტალისტური სისტემის მარცხს. სნოუდენს გამოეკამათა ნაციონალლიბერალი ალფრედ მონდი, რომელმაც შეიტანა რეზოლიუცია, რომელიც უარყოფდა სნოუდენის წინადადებებს. მონდმა წარმოსთქვა სიტყვა, რომელშიაც ის ამტკიცებდა, რომ გაჯანსაღებითი ზომების გამოძებნა შეიძლება არსებულ საზოგადოებრივ წყობილების დანგრევის გარეშეც. კამათი განახლდება აღდგომის შემდეგ. პირველად ამ საკითხის შესახებ ილაპარაკებს ჯონ სიმონი.

სხვადასხვა ამბები

კონსტიტუციის წინააღმდეგ.

პარიზი 25 მარტი. ბუქარესტში გაიმართა ნაციონალურ და გლეხთა პარტიების მრავალრიცხოვანი მანიფესტაციები ახალი კონსტიტუციის საწინააღმდეგოდ. მანიფესტანტები გარეკა პოლიციამ.

ამერიკა.

ამერიკელების ინტერესს შეადგენს საბჭოთა რუსეთის ცნობა.

მოსკოვი. 22 მარტი. რუსეთიდან ნიუ იორკში დაბრუნებულ გემთმიმოსვლის საზოგადოების დირექტორმა კარვერმა გამოსთქვა სრული კმაყოფილება მოგზაურობის შედეგებით და აღნიშნა ამერიკის საზოგადოების საბჭოთა მთავრობასთან მეგობრული თანამშრომლობის შესაძლებლობა. კარვერმა აღნიშნა აგრეთვე რუსეთის ნახშირის, რკინის დამმუშავებლის, ნავთის და მეტალურგიისა მრეწველობების პროგრესი და სთქვა, რომ ვილსონისა და გარდინგის პოლიტიკა რუსეთის მიმართ ეწინააღმდეგება ამერიკელების ინტერესებს და აუცილებლათ შეცვლილ უნდა იქმნას.

ფოსტერის პროცესი.

მოსკოვი. 22 მარტი. სასამართლოს სხდომაზე, როდესაც ირჩეოდა კომუნისტ ფოსტერის საქმე, მთავრობის ჯაშუშმა მოროუმ, იგივე აშვორტმა, განაცხადა, რომ ფოსტერმა კომუნისტური პარტიის სახელით მოაწყო ყრილობა, რომელზედაც ბრუკის გვარით მონაწილეობას ღებულობდა ლოზოვსკი.

ჩეხო-სლოვაკია

სცვლიან დამოკიდებულებას

მოსკოვი. 22 მარტი. ჩეხის მემარცხენე ნაციონალ-სოციალისტების ორგანო იტყობინება, რომ საფრანგეთი უკვე სცვლის თავის დამოკიდებულებას რურის საკითხში. გაზეთის აზრით, საფრანგეთი, აძლევს რა პოლონეთს ვილენშჩინასა და აღმოსავლეთ გალიციას, სამაგიეროთ ალბათ ფიქრობს იურიდიულათ იცნის რურთი.

პრესის მიმოხილვა

რურის კვანძი.

მოსკოვი. 21 მარტი. ამხ. რადეკი „პრავდა"-ში ათავსებს წერილს შემდეგი სათაურით: „განათლებული ევროპის გულში", რომელშიაც, ეხება რა საფრანგეთის ჯარებს და რურის მშვიდობიან მცხოვრებლებს შორის მომხდარ შეტაკებებს, სწერს: „ფრანგების მიერ შემოღებულია სამხედრო სასამართლოები და მძევლების დახვრეტა. ფრანგები, რომლებიც რურში შეჭრის შემდეგ ცდილობდენ ეთამაშათ გერმანიის მუშათა კლასის მეგობრების როლი, იძულებული არიან მოიქცენ ისე, როგორც იქცეოდენ გერმანიის იმპერიალიზმის საოკუპაციო ჯარები უკრაინაში და შეიარაღებული ძალებით ჰყავდეთ მორჩილებაში ხალხთა მასები. მიიღებს თუ არა პუანკარე ნახშირს რურის ადგილებიდან, ან ფულებს გერმანიის ბურჟუაზიის რკინის ყუთებიდან—კიდევ საკითხია. მაგრამ ერთი აშკარაა, რომ ის დაინახავს საფრანგეთის ჯარების გახრწნას. „დემოკრატიულ ევროპაში" ზავის მეხუთე წელიწადზე ჩვენ მოწამენი ვართ იმ ხიტების ყველაზე უფრო ველური დიქტატურის, რომლის დახმარებითაც სურთ განაგონ მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი სამრეწველო ნაწილი. თავის წერილში ამხ. რადეკი იმ დასკვნამდე მიდის, რომ რურის ადგილებში მომხდარი ამბები გამოიწვევენ ნაციონალისტურად განწყობილი წვრილი ბურჟუაზიის პროლეტარიატის მხარეზე გადასვლას. აგრეთვე აცილებულია ბურჟუაზიის მეთაურების მორიგება საფრანგეთის კაპიტალთან, რომელიც მიმართული იქნება მუშების წინააღმდეგ. ასე ვითარდება წინააღმდეგობანი, ასე იხლართება კვანძი, რომლის გარღვევა შეუძლია მხოლოდ პროლეტარულ რევოლიუციას".

სასურსათო გადასახადის შედეგები საქართველოში 1921 და 1922 წელს,

1922 წლის სასურსათო გადასახადი სრულად არის აკრებილი გარდა აბხაზეთისა და აჭარისა. აბხაზეთისა და აჭარის შესახებ ჩვენ ანგარიშს ვერ ვიძლევით, რადგან აბხაზეთი მუდამ მუშაობდა საქართველოს ყოფ. სახ. სას. კომისარიატზე დამოუკიდებლად, ხოლო აჭარამ კი შემოიღო თავისებური წესი სასურსათო გადასახადის აკრებისა და ამ აკრებილის განაწილებისა.

საქართველოს ყველა დანარჩენს რაიონში აკრებილია 100-მდე პროცენტი.

ჩვენი ამოცანაა—ჯამი გაუკეთოთ მთელს ნამუშევარს ამ დარგში.

უწინარეს ყოვლისა საჭიროა მკითხველის ყურადღება მივაპყროთ 1921 წლის სასურსათო მუშაობის მეთოდზე და გამოვარკვიოთ ის მიზეზები, რომელმაც გამოიწვია აღნიშნულ წელში სასურსათო კამპანიის ცუდად ჩავლა. მიზეზები კი ბევრი იყო. თავის-თავად სასურსათო გადასახადი ჩვენი სოფლისთვის ახალი მოვლენაა, რომლის შეგუებაც გლეხისთვის ძნელი იყო. მეორე მხრივ კი სასურსათო კომისარიატი იძულებული იყო მუშაობის შეუჩერებლად ამ მუშაობისთვის მოემზადებინა მუშაკთა ფართო ჯგუფები სასურსათო კურსების მოწყობით და ადგილებში ინსტრუქტორობის გაწევით.

შეუძლებელი იყო, რომ ამ გარემოებას გავლენა არ ჰქონოდა კამპანიის მსვლელობაზე. თუ რუსეთში ხშირათ უხდებოდათ გადამხდელთა სიების ორჯერ და სამჯერაც გადასინჯვა და შესწორება, რაღა გასაკვირალია, თუ საქართველოში, სადაც სათანადო გამოცდილება არ იყო, სიები სწორედ არ სდგებოდა, საჩივრების განხილვას თვეები უხდებოდა და სხვა.

ყველა ეს სწარმოებდა საქართველოს გასაბჭოების პირველ თვეებში, როდესაც გლეხობა უნდობლად უცქეროდა საბჭოთა ხელისუფლებას. საბჭოთა მოწინააღმდეგე პარტიები ფურცლებს უშვებდნენ სასურსათო გადასახადის წინააღმდეგ და გლეხებს ურჩევდნენ, არ დამორჩილებოდნენ მთავრობის დადგენილებას. როგორც ვიცით, გადამხდელთ საერთოდ ჩვევიათ გზების გამოძებნა და საჩივრების აღძვრა იმ მიზნით, რომ, თუ სულ არ აიცდინონ გადასახადი, შეამცირებინონ მაინც განაკვეთი. ასეთია საერთოდ გადასახადის მიმცემის ფსიქოლოგია. ამ განწყობილებით ისარგებლეს იმ პირებმა, რომელთაც უნდოდათ სასურსათო კამპანიის ჩაშლა იმ მიზნით, რომ ადგილობრივი ხელისუფლება რეპრესიების გზას დასდგომოდა და მით გაემწვავებინა დამოკიდულება მთელ გლეხობასთან.

პურეულის და მატყლის დეკრეტები მხოლოდ ივლისის 26-ს გამოიცა, ხოლო ხორცისა, მევენახეობის პროდუქტებისა, რძეულისა, კართოფილისა, ბოსტნეულისა და ხილისა კი—გამოქვეყნებულ იქნება მხოლოდ სექტემბრის 7-ს. სიების შედგენის მუშაობა წინასწარ შემუშავებულ სისტემით მხოლოდ ნოემბერში გაჩაღდა. ამასთანავე ერთად საჭირო გახდა იმისთვის ზრუნვა, რომ გადასახადის ამკრები აპარატი მოწესრიგებულიყო, საჭირო გახდა საშუალებათა გამოძებნა მის მოსაწყობად და სხვა. ამას გარდა გადასახადი დადებული ჰქონდა სასოფლო მეურნეობის თითქმის ყველა დარგს.

მოსავალი ცუდი იყო. მოსავალი დაახლოვებით 29,5 მილიონ ფუთს შეადგენდა იმ დროს, როდესაც თვით მოსახლეობის მოთხოვნილება 32,5 მილიონს უდრიდა. შეუძლებელი იყო ყველა ამას გავლენა არ მოეხდინა კამპანიის მსვლელობაზე.

მაგრამ 1921 წლის სასურსათო გადასახადის კამპანიის ცუდად ჩავლის მიზეზი მდგომარეობდა თვით შეწერისა და სიების შედგენის სისტემაში.

ამ მხრივ შემოღებული წესი სრულიად არ შეეფერება ჩვენს სინამდვილეს. ოჯახთა სიების შესადგენად საჭირო ხდებოდა კარდაკარ ჩამოვლა და დაკითხვა იმის გამოსარკვევად, თუ რომელს მეურნეობას რა შემოსავალი აქვს, რამდენი სულია სოფელში, რამდენი მიწაა დათესილი და სხვა. სხვანაირად რომ ვსთქვათ, ჩვენ მიზნად დავისახეთ თვითეულ გლეხის ნივთიერ ძალღონის ზედმიწევნით გამორკვევა და ამის მიხედვით გადასახადის შეწერა. ამას გარდა გადახდის უნარის გამორკვევა უნდა მომხდარიყო მოსავლიანობის მიხედვით ამა თუ იმ ადგილში. ყველა ეს სამუშაო სრულდებოდა გამოუცდელ თანამშრომელთა საშუალებით, რომელთაც სიებში უნდა ჩაეტანათ თვით გადამხდელთაგან, ან მათ მეზობლებისგან მიღებული ცნობები.

ზოგი გლეხი სცდილობდა, შეემცირებინა სათესი მიწის სივრცე და საერთოდ თავისი შემოსავალი ზოგი კი პირად ინტერესისთვის შეცდომაში აგდებდა მეზობლებს.

სამაზრო სასურსათო კომიტეტის აგენტების მიერ შევსებული სიები სათემო აღმასკომებში მიდიოდა, იქიდან კი სამაზრო სამეულში. აქ საგანგებო შტატი, განსაკუთრებით ამ მიზნისთვის შედგენილი, ცნობებს ალაგებდა დასამუშავებლად.

საბჭოთა ხელისუფლება დიდძალ საშუალებას ხარჯავდა ამ მასალების დამუშავებაზე. შედეგი კი იყო მრავალი შეცდომა და საჩივარი გლეხთა მხრით.

აი დასრულდა მასალების დამუშავება, გადამხდელთა სიების შედგენა, რომელშიც აღნიშნულია, თუ კერძოდ თვითეულ მეურნეობას რამოდენი გადასახადი ეკუთვნის.

მერე? იმის ნაცვლად, რომ პრაქტიკულად დაწყებულიყო გადასახადის აკრება, სამეულს მოუხდა შეცდომების გასწორება.

მუშაობის ეს მეთოდი ჩვენში შემოღებულ იქმნა რუსეთის მაგალითის მიხედვით, სადაც ხელისუფლებას ადგილებში ბევრად უფრო დაწვრილებითი ცნობები მოიპოვება მეურნეობის მდგომარეობის შესახებ ვიდრე ჩვენ.

1922 წელს ეს სისტემა ჩვენ გავამარტივეთ. რასაკვირველია, ჩვენ მოგვიხდა დაცვა ძირითადი პრინციპისა რომელიც მოითხოვს სათესი მიწების სივრცის, მოსავლიანობისა და ამა თუ იმ რაიონის გადასახადის გასტუმრების უნარიანობის გამორკვევას. ცენტრს ცნობაში მოჰყავს მაზრაში დათესილ მიწების სივრცე და ამის კვალად განსაზღვრავს იმ რაოდენობას, რომელიც თვითეულ მაზრას ეკუთვნის გადასახდელად, დანარჩენი მუშაობა კი გადადის ადგილობრივ ხელისუფლებაზე შესასრულებლად და განსახორციელებლათ.

რა ცნობებით ხელმძღვანელობს ცენტრი თვითეულ მაზრის კუთვნილ სასურსათო გადასახადის რაოდენობის განსაზღვრის დროს?

რასაკვირველია მხედველობაში იღებს სათეს მიწის სივრცეს, მოსავლიანობას და სხვა... ეს ცნობები კი მოიპოვება სამაზრო აღმასკომებში. ამის შემდეგ თემებში იწყება მუშაობა სიების შესადგენად. ამ მუშაობას შემთხვევითი აგენტები კი არ აწარმოებენ, არამედ თვით ღარიბნი თემებში იმ იმედით, რომ სოფლის ღარიბთა კრება ყოველ სტატისტიკოსზე უკეთ გამოარკვევს, თუ ვის უნდა დაედოს გადასახადი და ვინ უნდა იყოს განთავისუფლებული.

გადახდის შემძლეობის გამორკვევის ასეთმა წესმა კარგი ნაყოფი გამოიღო. მიუხედავად მრავალ ხელშემშლელ პირობების (საბჭოთა მოწინააღმდეგეთა გალაშქრება გადასახადის წინააღმდეგ, მევახშეთა ცდა, კამპანიის ჩაშლისკენ მიმართული) 1922 წელს სასურსათო გადასახადი აკრებილი იქმნა 100 პროცენტი.

ამას გარდა გვაქვს მრავალი განცხადება აღმასკომთა წარმომადგენლებისა, რომელნიც დიდად კმაყოფილნი არიან ჩვენის მუშაობის მეთოდით. აღარას ვიტყვით სამაზრო სასურსათო კომისრებზე, რომელნიც 1921 წლის გადასახადის კამპანიის ცუდად ჩავლას გადამხდელთა სიების შედგენის ძველს წესით ჰხსნიან.

ამიერ-კავკასიის სასურსათო თათბირზე ჩვენი მუშაობის მეთოდს კრიტიკით შეხვდნენ აზერბეიჯანელი ამხანაგები.

ჩვენ გვითხრეს, რომ ეს სასურსათო გადასახადი კი არ არის, არამედ სასურსათო ბეგარაა, ვინაიდან სასურსათო გადასახადი წარმოადგენს მეურნეობის შემოსავლის ნაწილის გადარიცხვას სახელმწიფოს სასარგებლოთ.

ასეთი კრიტიკა სერიოზულად არ შეიძლება ჩაითვალოს, თუ გინდათ იმიტომაც, რომ ცენტრი, წინასწარ ანაწილებდა რა რაიონებზე მთელი საქართველოს კუთვნილ გადასახადს, მხედველობაში იღებდა სწორედ ამა თუ იმ მაზრის შემოსავლიანობას და გადახდის უნარიანობას და იმის მიხედვით განსაზღვრავდა სახელმწიფოს სასარგებლოდ შემოსავლის ნაწილის გადარიცხვას. ცენტრის მიერ განაწილებულ გადასახადის სისწორეს ადგილობრივი ორგანოები ამოწმებდნენ სახელდობრ სამაზრო, შემდეგ სათემო აღმასკომთა ყრილობები, რომელთაც შეჰქონდათ ესა თუ ის შესწორებანი.

სულ ერთი არ არის, თუ ვინ, ან სად განსაზღვრავს გადასახადის რაოდენობას, ცენტრში თუ ადგილებში, ოღონდ კი ჯამი სწორი იყოს, ოღონდ იგი აღებული იყოს სინამდვილიდან და არა ზეციდან? ამ მხრით შეიძლება გადაჭრით ითქვას, რომ ცენტრი მიწად-მოქმედების კომისარიატისა, ცენტრალურ სასტატისტიკო სამმართველოსი და ადგილობრივ აღმასკომთაგან მიღებულ ცოტათ თუ ბევრად ზედმიწევნით ცნობების წყალობით უფრო ადვილად მივა სინამდვილესთან, ვიდრე სამაზრო სასურსათო კომიტეტის სრულიად გამოუცდელ და ამასთანავე შემთხვევითი აგენტების საშუალებით, რომელნიც მოწვეულნი არიან დროებით სასურსათო გადასახადისათვის და რომელთაც უხდებათ კარდაკარ ჩამოვლა და ცნობების შეგროვება ხშირად მეურნეობის მეპატრონის შინ არ ყოფნის დროს. ნუ თუ იმისთვის უნდა ავყვეთ სხვაგან შემუშავებულ მეთოდის ყოველ ასოს, რომ ვსთქვათ, აი ჩვენც ვაკეთებთ ისეთსავე საქმეს, როგორსაც სხვებიო. მაგრამ ეს უბრალო მოხელეობაა, რომელიც მოკლებულია ყოველგვარს აზრს.

რისთვის ვენდოთ შემთხვევით აგენტებს, რომელთაც მუშაობა უხდებათ უსწავლელ გლეხთა შორის და რატომ არ ვენდოთ მოსახლეობის ღარიბეს ნაწილს, რომელიც ამა თუ იმ რაიონზე და სოფელზე შეწერილ გადასახადის რაოდენობის მიხედვით ყოველ აგენტზე უკეთესად და კაბინეთის სტატისტიკოსზე სამართლიანად გაანაწილებს გადასახადს გადამხდელთა შორის?

განაწილება მაზრებზე

მაზრები	სათესი მიწა 22 წ. ათას დეს.	საშუალო მოსავლიანობა	1922 წლის მოსავალი	სასურს. განაკვეთი ათას ფუთ.	აკრებილია	გადასახადი დესეტინაზე	შენიშვნა:
აღმოსავლეთ საქართველოში							
ახალქალაქის	24	48	1172	35	100,0	1,4	
ახალციხის	119	54	934	55	100,0	2,9	
ბორჩალოს	33	48	1574	80	100,0	4,4	
გორის	55	68	3713	125	100,0	2,3	გორის მაზრაში შეტანილია სამხრეთ-ოსეთი.
დუშეთის	15	52	783	30	100,0	2,0	
სიღნაღის	45	79	3561	100	100,0	2,2	
თელავის	31	69	2149	60	100,0	1,9	
თბილისის	30	45	1364	70	100,0	2,3	
თიანეთის	11	46	512	20	100,0	1,8	
სულ	263	60	15762	575	100,0	2,2	
დასავლეთ საქართველოში							
ზუგდიდის	55	62	3406	60	100,0	1,1	
ქუთაისის	70	70	4863	68	100,0	1,0	
ლეჩხუმის	12	50	591	7	100,0	0,6	
ოზურგეთის	40	58	2300	38	100,0	1,0	
რაჭის	16	50	808	15	100,0	1,0	
სენაკის	45	60	2692	67	100,0	1,3	
შორაპნის	65	44	2849	40	100,0	0,6	
სულ	303	56	17509	295	100,0	1,0	
რესპუბლიკაში	566	58	33271	870	100,0	1,6	

ეს განაწილება საბოლოოა შეპარულ შეცდომათა შესწორების შემდეგ

რათა თავიდან აგვეცდინა მევახშეთაგან ხელში ინიციატივის ჩაგდება, ჩვენ საგანგებო ინსტრუქციით უფლება მივეცით თვითეულ ღარიბ გლეხს, გაესაჩივრებინა გლეხთა ყრილობის დადგენილება და განაწილების ახალის გეგმის დანიშვნა მოეთხოვა. ამ გზით მივაღწიეთ იმას, რომ გლეხს ცოტა გადასახადი ხვდებოდა და ზოგჯერ სულაც თავისუფლდებოდა გადასახადისაგან.

ზოგს არ მოსწონს რომ მთელი გადასახადის სიმძიმე „კულაკებს" აწვება. ისინი ამბობენ, რომ ასეთს პირობებში შეძლებული გლეხები იძულებულნი იქნებიან დათესილ მიწის სივრცე შეამცირონ, ვინაიდან მათ მეტის გადახდა უხდებათ, ვიდრე ღარიბებსო.

როგორც არ უნდა ვიფილოსოფოსოთ, შეძლებულ გლეხს აქვს ეკონომიური ალღო, რის გამოც იგი დათესილ მიწის სივრცეს არ შეამცირებს, თუ გინდ ნახევარ დესეტინითაც, ვინაიდან მას უხდება სახელმწიფოსთვის მიცემა დესეტინაზე მხოლოდ 2-დან 3 ფუთამდე სასურსათო გადასახადისა. მაშასადამე ზოგი ჩვენი მოკამათენი ამ მხრივ საფუძველს არიან მოკლებულნი. დაბოლოდ დღეს, როდესაც გახურებული მუშაობაა აგრარულ რეფორმის სფეროში, შეუძლებელია ლაპარაკი „კულაკებზე" ამიტომ ჩვენი მუშაობის მეთოდი სრულიადაც არ ეწინააღმდეგება ჩვენს სინამდვილეს.

სხვა წესი არც უნდა იყოს. სასურსათო კომიტეტის აგენტების მიერ სიების შედგენის წესს და გლეხთა ქონების ყოველ წლიურად აღწერას ისეთი არევ-დარევა მოსდევს, რომ მის მეოხებით სასურსათო გადასახადის კამპანია იშლება (საქართველოში 1921 წელს), და სასურსათო ორგანოები [illegible] სტატისტიკურ ცნობებში და 100 პროცენტის ნაცვლად 200 პროცენტს აგროვებენ (აზერბეიჯანში 1922 წ.).

ძნელი წარმოსადგენია, რომ სასურსათო ორგანიზაციების აგენტებს აზერბეიჯანში სწორე ცნობები შე[illegible]რიბოთ იმ დროს, როდესაც მოსახლეობა უსწავლელია და ადგილებზე ინტელიგენტური ძალები არ მოიპოვება. ამით აიხსნება 200 პროცენტი ნაცვლად 100-სა.

მართალია ამხ. მუსაბეკოვი ცდილობს, დაამტკიცოს აზერბეიჯანის მუშაობის მეთოდის სისწორე (იხ. მისი წერილი „ზარია ვოსტოკა" № 137 1922 წლის ნოემბრის 29 თარიღით), მაგრამ მისი სტატისტიკური ცნობები გარკვევით კოჭლობენ.

იგი იღებს 1921 წლის სათესი მიწების სივრცეს და მას განსაზღვრავს ციფრით 510.000. უნდა ვიკითხოთ, რად უნდა აელო მას 1921 წლის დათესილ მიწების სივრცე და არა 1922 წლისა, ანუ იმ წლისა, როდესაც ფაქტიურად აკრებილი [illegible] და 200-მდე პროცენტი. როგორც სჩანს, ამის მიზეზია 1922 წლის ცნობების უქონლობა. მაშასადამე

ხვალ 24 მარტს, საღამოს 6 საათზე,
დანიშნულია

თბილისის ალმასკომის პლენუმის სხდომა

დღის წესრიგი: ზემო-ავჭალის ჰიდრო-ელექტრო. სადგურისთვის ტირბო-გენერატორის აგრეგატების შესაკვეთად პეტროგრადის მანქანების სამშენებლო ტრესტთან დადებულ ხელშეკრულების დამტკიცება.

ალმასკომის ყველა წევრებისთვის დასწრება სავალდებულოა.

კრ. 271—2—1 პრეზიდიუმი.

საბჭოთა წითელი ჯარი და გერმანია

(წერილი ბერლინიდან).

წითელი ჯარის მეხუთე წლის თავს გერმანიაში უყურადღებოთ არ ჩაუვლია. ახლა საერთოდ რურის ოლქის ოკუპაციის გამო. აქ ბევრს ლაპარაკობენ და სწერენ წითელი ჯარის შესახებ, საინტერესოა, რომ თვით არხიბურჟუაზიული გაზეთები სავსეა ათასგვარი სწორი თუ გამოგონილი ცნობებით „რუსეთის ახალი ჯარის“ შესახებ; ცნობილმა მხატვრულმა ჟურნალმა „დი ვოხე“-მ მთელი უკანასკნელი ნომერი დაუთმო წითელ ჯარს. ამ ნომერის ყდაზე შემდეგი სურათია: კარგათ ჩაცმული და შეიარაღებული წითელ-არმიელი, საბჭოთა ვარსკვლავით ქუდზე მიდის გერმანიის რეიხსვერის ჯარის-კაცთან ერთად! არავითარი წარწერა სურათს არა აქვს, ნათელია კი უსიტყვოდ...

ეჭვს გარეშეა, რომ ეს სურათი საუცხოვოდ ახასიათებს იმ იმედებს, რომელსაც გერმანიის ბურჟუაზია ამყარებს ჩვენს ჯარზე. უკვე დიდი ხანია ბურჟუაზიული პრესა, განსაკუთრებით მემარჯვენე, თვალებს უხვევს მკითხველებს, ამბებით „აღმოსავლეთიდან ფრანგების წინააღმდეგ დახმარების შესახებ“, რომელიც უსათუოდ იქნება. საქმე იქამდი მივიდა, რომ თავდაცვის მინისტრი გესლერი იძულებული გახდა ამ დღეებში რეიხსტაგის ტრიბუნიდან განეცხადებია, რომ რუსეთის წითელ ჯარზე დამყარებული იმედები უსაფუძვლოა. მაგრამ ამ განცხადებამ ვერ დააშოშმინა გერმანიის პრესა. საკვირველია, მაგრამ მონარქიული და რეაქციონური ორგანოები ემუქრებიან საფრანგეთს... ამხ. ტროცკით! რესპუბლიკანური პრესა კი ანგრევს ღია კარებს და დორბლით პირზე ამტკიცებს, რომ საბჭოთა წითელი ჯარი კუნოს მთავრობისათვის სამხედრო დახმარების გაწევას სრულიად არ აპირებს.

რამდენათაც მემარჯვენე პრესის გამოსვლები მეტად ცუდ სააგიტაციო საშუალებას შეადგენს და მას მიზნად აქვს გულუბრყვილო მკითხველის გაბაბურება, იმდენად რესპუბლიკანური და სოციალ-დემოკრატიული გაზეთების წერილები წითელი არმიის შესახებ ყურადღების ღირსია და საჭიროა მათზე უფრო ვრცლად შეჩერება. როგორ აქვთ წარმოდგენილი ამ გაზეთებს საბჭოთა რუსეთის პოლიტიკა?

უნდა ითქვას, რომ სერიოზული ბურჟუაზიული გაზეთები—„ბერლინერ ტაგებლატი“, „ფრანკფურტერ ცაიტუნგი“ და სხვები ამ კითხვაში არსებითად განირჩევიან სოციალ-დემოკრატიულ „ფორვერტსიდან“. ისინი აღნიშნავენ, რომ საბჭოთა რუსეთი აწარმოებს დამოუკიდებელ მშვიდობიან პოლიტიკას, რომ ის სრულიად არ აპირობს სამხედრო კონფლიქტების გამოწვევას, რომ ის თავდასხმის დროს დაიცავს საბჭოთა რუსეთს და შესაძლოა ის სამხედრო დახმარებას აღმოუჩენდა გერმანიის მუშურ მთავრობას, მაგრამ ძალიან ცდებიან ისინი, ვინც ფიქრობს თითქოს წითელი ჯარი დაიცავს გერმანიის ბურჟუაზიას და იბრძოლებს მისი ინტერესების სასარგებლოდ.

რაც შეეხება „ფორვერტს“ ამის შესახებ ის სულ სხვა აზრის არის. უკვე დიდი ხანია ის ცდილობს ისეთი შთაბეჭდილება შექმნას თავისი წერილებით, თითქო საბჭოთა რუსეთი უცდის და ვერ მოესწრო, რომ გერმანიის პირველი მოთხოვნისთანავე აღმოუჩინოს მას სამხედრო დახმარება. ის ამტკიცებს თითქო რუსეთი როგორც ბუხარინის მიერ კომინტერნის ყრილობაზე გაკეთებული მოხსენება მოწმობს, ცდილობს ჩაითრიოს გერმანია ომში, რომ შემდეგ ეს ომი თავის მიზნებისათვის გამოიყენოს. „ფორვერტსის“ უკანასკნელ (4 მარტის) ნომერში მოთავსებულია კ. კაუცკის წერილი, რომელიც ამავე აზრისაა. ის სრული სიჩუმით სტოვებს კითხვას მოისურვებს თუ არა რუსეთი გერმანიის ბურჟუაზიის დასაცავად წითელი არმიის გაგზავნას,—საერთოდ კაუცკისათვის ეს კითხვა არ არსებობს. ის „აფრთხილებს“ მხოლოდ გერმანიას და აცხადებს, რომ „მეტად ძნელია ისეთი არასაიმედო მოკავშირის მოძებნა, როგორიც რუსეთია“ და „თუ ჩვენ (ე. ი. გერმანია) მოვიწვევთ მას დასახმარებლათ, ის (ე. ი. რუსეთი) მოურიდებლათ ჩაგვითრევს ჩვენ საშიშ კონფლიქტში, რომ შემდეგ, გადამწყვეტ მომენტში, ბედის ანაბარად მიგვატოვოს“-ო.

ამიტომ, კაუცკის აზრით, წითელი-არმიის დასახმარებლათ მოწვევა საჭირო არ არის, მით უფრო რომ „მას სრულიად არ შეუძლია საფრანგეთისა და მოკავშირეების წინააღმდეგ ბრძოლის წარმოება“.

ასეთ დასკვნას აკეთებს კაუცკი იმ „ფაქტებზე და ციფრითი მასალებზე“ დაყრდნობით, რომელიც ეხება რუსეთის ეკონომიურ მდგომარეობას და მოყვანილია გერმანიაში ამას წინათ გამოსულ მენშევიკ დანის წიგნში „პროფ-კავშირები და საბჭოთა რუსეთის პოლიტიკა“.

გერმანიამ, კაუცკის აზრით, საკუთარი ძალებით უნდა დაიცვას თავი, რისთვისაც აუცილებელ და პირველ ღონისძიებათ ამ მიმართულებით უნდა ჩაითვალოს მთავრობის მიერ... სათანადო დიპლომატიური წიგნის გამოცემა! „ასეთ წიგნებს,—სწერს კაუცკი,—თეთრს, ლურჯს, ყვითელს და სხვა, სცემენ მთავრობები ხალხისათვის და მთელი ქვეყნისათვის მოლაპარაკების თუ მოწინააღმდეგე მხარის მოთხოვნილებების გასაცნობათ“.

მაგრამ რით აიხსნება ბოლოს და ბოლოს, რომ როგორც ბურჟუაზიული, ისე სოციალ-დემოკრატიული პრესა ამდენ ყურადღებას აქცევს წითელ ჯარს? რით აიხსნება „ფორვერტსის“ ერთის შეხედვით უაზრო შეხედულება?

ამაზე პასუხის მიცემა არ არის ძნელი. გერმანიის ხალხის ფართე წრეებში იზრდება სიმპატიები საბჭოთა რუსეთისადმი; რურის ოკუპაციის პირობებში იზრდება რწმენა მისი ძალებისადმი და იმედი „აღმოსავლეთიდან დახმარებისა“. რეაქციონური პრესა ცდილობს, მართალია გულუბრყვილოდ, თავისებურად გამოიყენოს ეს სულიერი განწყობილება. სოციალ დემოკრატების ლიდერები კი, რომელთათვის საბჭოთა რუსეთზე საშიში მტერი არ არსებობს, ყოველ ძალღონეს ხმარობენ, რომ „შეაშინონ“ გერმანიის მუშები საბჭოთა რესპუბლიკების სისხლიანი განზრახვებით.

მიუხედავათ ამისა რეაქციონური პრესის აგიტაცია და „ფორვერტსის“ გამოსვლები თანხმდებიან ერთ რამეში: ყველა წერილებში წითელი ჯარის შესახებ სტრიქონებს შორის (და ხშირათ აშკარადაც) შეიძლება დაინახოთ დაპირისპირება დანგრეული გალატაკებული საბჭოთა რესპუბლიკის, რომელსაც ვერავითარი პუანკარე ვერ დაიპყრობს, და გერმანიის ბურჟუაზიული რესპუბლიკის, რომელსაც რომელიც გინდა უცხოეთის სახელმწიფო უკარნახებს თავის სურვილს“.

„იზვესტია“.

არი განაკვეთი განსაზღვრულ იქ-
სტატისტიკურ ცნობების უქონ-
ად. ეს ცნობები აზერბეიჯანელ
ხანაგებს არა აქვთ არა მარტო
კრეტის შემუშავების დროს, არა-
დ არც გადამხდელთა სიების შედ-
ნის შემდეგ, ვინაიდან ამხ. მუსაბე-
ვის წერილი გაზეთში დაიბეჭდა
ემბერში. აქედან ცხადია, რომ სა-
რსათო კომიტეტის აგენტებმა სწო-
დ ვერ გამოარკვიეს არა მარტო
ების წევრთა რიცხვი, მიწის შე-
სავლიანობა, გლეხის გადახდის
ებიანობა და სხვა, არამედ დათე-
ლ მიწების სივრცეც კი რესპუბ-
იკაში.

ნათქვამის დასამტკიცებლად უბრა-
ო მაგალითს მოვიყვანთ.

1917 წელს სათესი მიწის სივრცე
ერბეიჯანში 1 მილიონ დესეტინა-
მეტს უდრიდა. ნუთუ ისე ძალიან
ცირდა იგი, რომ 1921 წელს
0.000 დესეტინამდე დავიდა. რუ-
თისაგან ამიერ-კავკასიის ჩამოშო-
ბის შემდეგ სათეს მიწების სივრ-
, ხომ პირიქით გადიდდა: საქართ-
ლოში—თამბაქოს კულტურის ხარ-
, ხოლო აზერბეიჯანში—ბამბისა.
ის მიუხედავათ ჩვენ გვაწოდებენ
ფრს 510.000 დესეტინას და გვე-
ებიან—აი ამდენი და ამდენი შე-
როვეთო.

ძირითადი შეცდომა სრულიად
რღვევს მთელს სტატისტიკას და
მ დასკვნას, რომელიც ამხ. მუ-
კოვს თავის წერილში გამოჰ-
ს.

ლაზე სამწუხარო ის არის, რომ
ერთი მოხელე ფიქრობს, რომ
ანაც აზერბეიჯანში მხოლოდ
0.000 დესეტინა სათესი მიწაა,
ონიათ, რომ უფრო მეტია შეგრო-
სასურსათო გადასახადი, ვიდრე
თველოში.

ონაირ პირობებში, მოსავლია-
სა და საერთოდ მიწის შემოსავ-
ობის მხრით ორივე რესპუბლი-
1922 წელს, აზერბეიჯანში, სა-
დათესილ მიწების სივრცე უ-
დ უდრიდა ერთ მილიონამდე
ინას, შეგროვილია 2 მილიო-
ფუთი, საქართველოში კი
ფუთი იმ დროს, როდესაც
დათესილი იყო 566.000 დესეტინა.

ამასთანავე აზერბეიჯანში მოსავალი უკეთესი იყო, ვიდრე საქართველოში, სადაც იმერეთი თითქმის მთლად დაიღუპა წყალდიდობისაგან.

თუ ყველა ამას მხედველობაში მივიღებთ, ცხადი გახდება, რომ ორივე რესპუბლიკაში გადასახადი აკრებილია წარმატებით იმ განსხვავებით კი, რომ აზერბეიჯანში მუშაობა შესრულებულ იქმნა ხმაურობით და ალიაქოთით იმის გამო, რომ სტატისტიკამ მთელი კარტები გადარია, რის წყალობითაც შეგროვილ აღმოჩნდა ორჯერ მეტი იმაზე, რის აკრებაც იყო განზრახული. საქართველოში კი შეგროვილ იქმნა იმდენი. რამდენიც წინასწარ იყო განსაზღვრული.

რაღა საჭიროა, რომ წარსულ მაგალითისამებრ კვლავ დავხარჯოთ დიდი ძალღონე და ენერგია გადამხდელთა სიების შედგენაზე იმ აზრით, რომ გამოვარკვიოთ, რამდენი ქათამი და ბატი ჰყავს გლეხს, როდესაც დღემდე ჩვენ ვერ მოგვიხერხებია დათესილ მიწის სივრცის გამორკვევა?

მე ვეთანხმები შეწერის იმ პრინციპს, რომელიც შემუშავებული იყო სასურსათო თათბირზე იმ პირობით კი, რომ თვითეულ რესპუბლიკას ნება მიეცეს შეიმუშავოს საკუთარი მეთოდი გადასახადის კამპანიის ჩატარებისა ადგილობრივ პირობათა მიხედვით, წინააღმდეგს შემთხვევაში 1923 წლის სასურსათო გადასახადი ჩაიშლება.

ასეთი აზრისანი არიან როგორც საქართველოსი, ისე სომხეთის წარმომადგენელნი.

უფრო უკეთესი და მიზანშეწონილი კი ის იქნებოდა, რომ დავთანხმებულიყავით ამიერ-კავკასიის ფინანსთა სახალხო კომისარს ამხ. თუმანოვს, რომელიც მოითხოვს ნატურ-გადასახადის გაუქმებას და ფულადი გადასახადის შემოღებას.

ა. ერქომაიშვილი.

წითელ რესპუბლიკებში

რუსეთი

საქონელი უცხოეთიდან

მოსკოვი, 21 მარტი. ბელორუსიის კოოპერაციის ცენტრალურმა კავშირმა მიიღო უცხოეთიდან 20 ვაგონი საქონელი, უმთავრესად ფართო მოთხოვნილებისათვის. კავშირმა თავის მხრივ გაგზავნა რამოდენიმე ვაგონი მემელის „კლიოპკა“ და 7 ვაგონი სელი.

კრედიტი მუშებს.

მოსკოვი. 21 მარტი. მოსკოვის მომხმარებელ საზოგადოებათა კავშირმა დაიწყო მუშებისათვის პირველ მოთხოვნილების საგნების ნისიათ მიცემა. პირველ რიგში კრედიტი გაეხსნება ინდუსტრიალურ მუშებს, შემდეგ განათლების, მედიცინის და სახალხო მიმოსვლის მუშაკებს. კრედიტი მიეცემათ 4 თვით, საშუალოთ 20 საქონლის მანეთი თითო მუშაზე.

ფიზიკური კულტურა ახალგაზრდობის შორის.

მოსკოვი. 21 მარტი. რუსეთის ახალგაზრდობის კომუნისტურ კავშირის მოსკოვის ორგანიზაციას მოწყობილი აქვს პროლეტარულ ფიზიკურ კულტურის 105 წრე, რომლებშიც შედის 10,000-დე წევრი.

ამერიკელ მუშების დახმარება.

მოსკოვი. 21 მარტი. ამერიკელ მუშებისაგან ამხ. კალინინის სახელზე მიღებულია 1500 დოლარი, რომელიც შეაგროვეს რუსმა მუშებმა ამერიკაში დამშეულთა სასარგებლოთ. ამხ. კალინინმა დამშეულთა დამხმარე კომიტეტის სახელით ღრმა მადლობა გადაუხადა რუს მუშებს ამერიკაში ძმური დახმარებისათვის.

შაქრის წარმოება.

მოსკოვი. 21 მარტი. წარსული პერიოდის საწარმოვო გეგმით უკრაინაში მოქმედებდენ 87 შაქრის ქარხანა. ამ პერიოდში გამომუშავებულია სულ 9.600.000 ფუთი თეთრი შაქარი.

პარტიისაკენ ლტოლვა

მოსკოვი. 21 მარტი. დონბასის უპარტიო მუშათა შორის გაძლიერდა კომპარტიისაკენ ლტოლვა. საგუბერნიო კომიტეტმა მიიღო მუშებისაგან მთელი რიგი განცხადებებისა პარტიაში მათი შესვლის შესახებ.

დონბასში მყოფ თათრებს შორისაც გაძლიერდა ასეთივე ლტოლვა პარტიისაკენ.

ანტი-რელიგიური მოძრაობა.

მოსკოვი. 21 მარტი. დონბასის თათრის მოსახლეობის შორის გაძლიერდა ანტი-რელიგიური მოძრაობა. თათრულ კომ. ახალგაზრდობის კავშირმა გამოიტანა დადგენილება მეჩეთების დახურვისა და მოლების განდევნის შესახებ.

კავშირი მუშებთან.

მოსკოვი. 20 მარტი. ომსკში მუშათა საქალაქო კონფერენციამ ჰააგის იუბილეს გამო გადასცა საგუბერნიო კომიტეტის დროშა და მისალმების ბარათი. ომსკში ჩამოსულ ამხ. პიატაკოვს დაავალა გადასცეს ილიჩს მათი სურვილი მისი ჩქარა გაჯანსაღების შესახებ. იმ ბინის წინ, სადაც კონფერენცია ხდებოდა გაიმართა მუშათა და წითელ-არმიელთა მრავალრიცხოვანი დემონსტრაცია. მანიფესტანტებმა მისალმებით მიმართეს პარტიას და კონფერენციას. ორატორები აღნიშნავდენ, რომ კავშირი პარტიისა წითელ-არმიასთან და უპარტიოებთან მტკიცეა.

სოც.-რევ. პარტიის უბრალო წევრების ყრილობა

მოსკოვი. 22 მარტი. 20 მარტს, მოსკოვში დასრულდა ესერების პარტიის უბრალო წევრთა სრულიად რუსეთის ყრილობა ამხ. ლენინისადმი გაგზავნილ დეპეშაში ყრილობა უსურვებს ვლადიმერ ილიჩს მალე განკურნებას, რომ მისი ხელმძღვანელობით იბრძოლონ რუს. კომპარტიის რიგებში სოციალისტურ რევოლიუციის გამარჯვებისათვის. ამხ. ტროცკისადმი მიმართვაში ყრილობა აცხადებს, რომ იგი მზად არის პირველი დაძახებისთანავე დადგეს წითელ არმიის რიგებში. ყრილობამ გაუგზავნა დეპეშა აგრეთვე კომინტერნს. ამ დეპეშაში ყრილობა ჰკიცხავს ჰუნგრეთის ესერებს და ცეკისტებს, როგორც ბურჟუაზიის აგენტებს და აღუთქვამს მთელი ძალღონე მოახმაროს მსოფლიო პროლეტარულ რევოლიუციის გამარჯვების საქმეს.

სხდომის დასასრულში სიტყვები წარმოსთქვეს ამხ. ბუხარინმა და რადეკმა, რომელთაც ხანგრძლივი ტაშით შეხვდენ. ამხ. ბუხარინმა გამოსთქვა რწმენა, რომ ყრილობის მონაწილეთა შორის კომუნისტური პარტია მოიპოვებს ერთგულ ამხანაგებს. ბუხარინის შემდეგ სიტყვას ამბობენ ამხ. რადეკი და მაისკი. ყრილობის მდივანმა მორგენშტერნმა უპასუხა რა ამხ. ბუხარინს, აღნიშნა, რომ ბუხარინის და რადეკის სიტყვის შემდეგ დელეგატებმა „შვება იგრძნეს“. ბევრი დელეგატები სტიროდენ, ხელს ართმევდენ ბუხარინს, ზოგიერთები კოცნიდენ რადეკს.

უკრაინა და აღმოსავლეთი გალიცია

მოსკოვი. 21 მარტი. ხარკოვის მე-7 საგუბერნიო პარტიულ კონფერენციაზე მოხსენება გააკეთა ამხ. რაკოვსკიმ, რომელმაც სთქვა, რომ საბჭოთა უკრაინა პროტესტს აცხადებს პოლონეთის მიერ აღმოსავლეთ გალიციის მიკუთვნების წინააღმდეგ. რაკოვსკიმ ხაზგასმით აღნიშნა, რომ საბჭოთა ფედერაცია არ მიილტვის ტერიტორიის გაფართოვებისაკენ, მაგრამ, მისი აზრით, აღმოსავლეთ გალიციის განკარგულების უფლება აქვს მხოლოთ მის მოსახლეობას. გალიციისა და უკრაინის მუშათა და გლეხებისათვის სულ ერთი არ არის, იქნება გალიციაში ძალადობის თუ თავისუფლების რეჟიმი. რაკოვსკიმ აღნიშნა, აგრეთვე, ის გარემოება, რომ პოლონეთმა გაადიდა თავისი შეიარაღებული ძალები თითქმის 100 პროცენტით, მაშინ როდესაც რუსეთსა და უკრაინას არ გაუწევია ჯარში არც ერთი ზედმეტი წითელ არმიელი, რაიც საუკეთესო მაჩვენებელია უკანასკნელთა მშვიდობიანობისკენ მისწრაფებისა. რაკოვსკიმ იმედი გამოსთქვა, რომ პოლონეთის მუშები და გლეხები გამოასწორებენ მათი მთავრობის შეცდომებს.

ამიერ კავკასიის ფედერაციაში

სომხეთი

ერევანი 21 მარტი.

გაზაფხულის თესვის კამპანია. კამარლინის ოლქში დაიწყო გაზაფხულის მიწის მუშაობა. ვაზებს უკვე იღებენ მიწიდან, ჯერ დაუმუშავებელ მიწებზე სთესავენ ბამბას. გლეხები მტკიცეთ დარწმუნებული არიან, რომ ბამბა მოუტანს მათ მეტ სარგებელს, ვიდრე პური, მიწათ-მოქმედების სახალხო კომისარიატის განკარგულებით სომხეთის სახელმწიფო ბანკის სასოფლო-მეურნეობის განყოფილებამ მისცა ლორის მაზრას 6 000 ფუთი პურის თესლი, რომელიც უნდა დაურიგდეს ღარიბ გლეხობას ნისიათ.

ბამბის კამპანია. ბამბის კომიტეტის ცენტროსაწყობიდან გაგზავნილია ეჩმიაძინში 2.000 ფუთი ბამბის თესლი, კამარლიუში—1000 ფუთი. ერევანში მიღებულ ცნობების თანახმად ბაქოში იტვირთება 10.000 ფ. ბამბის თესლი, რომელიც დანიშნულია სომხეთისათვის.

სარწყავი არხები. დაიწყო სარწყავ არხების კაპიტალური წმენდა სარდარობადის, ეჩმიაძინის, ზანგიბასარის და ვედიბასარის რაიონებში, მიზნით მოიყვანონ არხები მშვიდობიან დროის მდგომარეობაში. სოფლებში სარწყავი არხები გაწმენდილია, სწარმოებს დიდი შეკეთება, გაძლიერებულია მუშაობა ახალ არხების გასაყვანათ. მუშაობა უნდა დამთავრდეს აპრილის დაწყებამდე.

ეკლესია სასწავლებლათ. ალექსანდროპოლის მაზრის სოფელ ალიხანის გლეხობამ დაადგინა შეაკეთოს ეკლესია და მოაწყოს შიგ სკოლა.

მეაბრეშუმეთა ყრილობა

(მე-4 სხდომა)

აბრეშუმის თესლის დამზადება და მისი განვითარების ღონისძიებანი.

ამხ. ივანოვი აღნიშნავს, რომ ამიერ-კავკასია არის უახლოესი მეზობელი ოსმალეთისა და აქ შემოდიოდა უმთავრესად ბრუსის აბრეშუმის თესლი, იმდენად იაფ ფასებში, რომ იყო წლები, როდესაც აბრეშუმის თესლი იყიდებოდა 23—30 კაპ. კოლოფი და ზოგჯერ უფასოთაც ურიგდებოდა მცხოვრებთ.

თურქესტანი, რომელიც დაშორებულია საიმპორტო ცენტრებთან, სულ სხვაგვარ მდგომარეობაში იმყოფებოდა. იქ ყოველთვის ეჩხრეოდა აბრეშუმის თესლის ნაკლულოვანება და ამან ხელი შეუწყო ადგილობრივ აბრეშუმის თესლის დამზადების საქმეს. ადარებს რა მეაბრეშუმეობის საქმეს თურქესტანსა და ამიერ-კავკასიაში, მომხსენებელი მიუთითებს საფრანგეთის მაგალითზე, სადაც საუკეთესო აბრეშუმის თესლი მზადდებოდა არა მსხვილ ცენტრებში, არამედ მიყრუებულ ადგილებში.

აბრეშუმის თესლის კერძო წარმოებას, მომხსენებლის აზრით უსათუოთ აქვს დიდი უპირატესობა სახელმწიფოებრივ დამზადების წინაშე. აბრეშუმის თესლის კერძო დამზადება უფრო ელასტიურ უფრო ადვილად ეგუება ადგილობრივ პირობებს, ვიდრე სახელმწიფოებრივი მისი ვეებერთელა ტეხნიკური აპარატით.

ამხ. ალექსეევი დამატებით ამხ. ივანოვის მოხსენებისა, აღნიშნავს, რომ ამ უკანასკნელ ხანებში შემჩნეულია საუკეთესო მეაბრეშუმეების წასვლა ამიერ-კავკასიიდან თურქესტანში, სადაც ისინი უფრო ვრცელ ასპარეზს პოულობდენ თავიანთი მოღვაწეობისათვის.

ამხ. ქუთათელაძე აგრეთვე ენერგიულად უჭერს მხარს აბრეშუმის თესლის კერძო დამზადებას. სახელმწიფოებრივი დამზადებაც საჭიროა ამ ჟამად ორი-სამი წლის განმავლობაში მეაბრეშუმეობისათვის ნორმალურ პირობების შექმნამდე.

საზღვარ-გარეთ აბრეშუმის თესლის დამზადება.

მომხსენებელია ამხ. ქუთათელაძე. დღემდის აბრეშუმის თესლის 80 პროცენტი საზღვარ-გარეთიდან შემოდიოდა უმთავრესად ოსმალეთიდან, სადაც თესლს იძენდენ ცნობილ მეაბრეშუმეებთან ხანჯიანთან, ზირიფასთან, ფერანთან (საფრანგ. სინდიკატის წარმომადგენელი) და სხვებთან.

ყველა ეს მეაბრეშუმეები ბოროტად იყენებენ თავიანთ ფირმების სახელს. ყიდულობენ რა თესლს პატარ-პატარა მწარმოებლებთან, ისინი თავისათ ასაღებენ მას.

„არკოსის“ ოპერაციები 1922 წელს მეტად საზარალო აღმოჩნდა. ამიტომ აბრეშუმის თესლის შეძენა უნდა მოხდეს საზღვარ-გარეთ დაინტერესებულ ორგანოების მიერ. მხოლოდ ამ ორგანოებს შეუძლიათ იყონ საქმის კურსში, და თვალ-ყური ადევნონ თესლის შეძენის სეზონს და სხვა საჭირო არ არის აბრეშუმის თესლის აჩქარებით შეძენა, აბრეშუმის პარკის მოსავალის შედეგების გამორკვევამდე, თესლი უნდა იქნეს შეძენილი საჭირო მომენტში და არა მესამე ხელიდან, არამედ წვრილ მწარმოებელთაგან იაფ ფასებში და კარგი ხარისხისა.

მომხსენებელი სხვათა შორის ემყარება ამიერ-კავკასიის ფედ. სოც. რესპ. სახ. კომისართა საბჭოს რწმუნებულის ამხ. მაკინციანის ცნობებზე, იმის შესახებ, თუ რომ ადგილობრივ მეაბრეშუმეებს—სომხებს სურთ განაახლონ კავშირი ამიერ-კავკასიის მეაბრეშუმეებთა, რომელთაც ისინი კარგათ იცნობენ. ეხლა მათ მიერ დამზადებულ აბრეშუმის თესლი გადადის მყიდველების ხელში და ფასობს ორჯერ და სამჯერ უფრო ძვირად, ვიდრე თვით მწარმოებელთ შეუძლიათ მოგვაწოდონ.

საბჭოთა რუსეთის აბრეშუმის სამმართველოს წარმომადგენლის ამხ. ნერსესოვის განცხადება.

ამიერ-კავკასიაში აბრეშუმის პროდუქტების საკითხის დამზადების გამო ამხ. ნერსესოვი აღნიშნავს თავის განცხადებაში, რომ ამიერ-კავკასიიდან აბრეშუმის პარკის და თესლის გატანა საზღვარ გარეთ სრული განადგურებით ემუქრება საბჭოთა რუსეთის აბრეშუმის მრეწველობას, ამიტომ აბრეშუმის სამმართველომ დაავალა მას წარუდგინოს ამ ყრილობას შემდეგი წინადადება: 1) კატეგორიულად აკრძალოს საზღვარ გარეთ აბრეშუმის პროდუქტების გატანა, 2) გაუქმებულ იქნას საბჭოთა საქართველოში აბრეშუმის მონოპოლია, 3) დაარსდეს ერთიანი სახელმწიფოებრივი-დამზადებელ-გამნაწილებელი ორგანო, რომელიც განაგებს საბჭოთა ფედერაციის შინაური ბაზრის ნედლი მასალის მომარაგების საქმეს.

პარტიული ცხოვრება

საქართველოს კ. პ. ტფ. კომიტეტი

წინადადებას იძლევა პარასკევს ა. წ. 23 მარტს, ერთიან პარტიულ დღეს დაყენებულ იქნას დღის წესრიგში:

„მენშევიზმის გახრწნა“.

თეზისები გამოქვეყნებულია

თფ. კ. მდივნის მაგიერ რუბენი.

რაიკომები თუ თემკომები? *).

რამოდენიმე დღის წინ გაზ. „ზარია ვოსტოკა“-ში იყო გამოქვეყნებული ახალი პროექტი მაზრებში სათემო პარტიულ კომიტეტების გაუქმებაზე და მის შეცვლაზე სარაიონო კომიტეტებით.

თუ ჩაუკვირდებით საქმის ვითარებას და წარმოვიდგენთ პროვინციებში პარტიულ მუშაობის სურათს, აშკარად დავინახავთ, რომ ეს პროექტი არ არის მთლად მიზანშეწონილი და არსებულ მდგომარეობის პირობებთან შეფარდებული.

ამ შემთხვევაში მე წარმოდგენილი მაქვს სენაკის მაზრის მდგომარეობა და, თუ არ ვცდები, მგონი სხვა მაზრებშიაც ასეთსავე მდგომარეობას უნდა ჰქონდეს ადგილი.

სარაიონო ცენტრები დაშორებულია სათემო ცენტრებიდან 7—8, ზოგან 10 და კიდევ მეტი ვერსით. თემი შესდგება რამოდენიმე სოფლებიდან, სადაც დაარსებულია პარტუჯრედები (იაჩეიკები); ეს კომუჯრედები დაშორებულნი არიან სათემო ცენტრიდან რამოდენიმე ვერსით, ხოლო სარაიონო ცენტრიდან კი უფრო მეტი მანძილით, ვინემ თემი რაიონიდან. თითოეულ რაიონში შედის საშუალოდ 3—4 თემი, ხოლო თემში კი 4—5—6 უჯრედი. ასე. რომ რაიონში შედის საშუალოდ 15—20 (ზოგან მეტიც) უჯრედი დღემდის პარტორგანიზაციები მოწყობილია შემდეგნაირად: მაზრა დაყოფილია თემკომებად; სათემო ცენტრში დაარსებულია თემკომი (თემის კომიტეტი), რომელიც ხელმძღვანელობს თემში შემავალ ყველა უჯრედების მუშაობას; სარაიონო კომიტეტები (რაიკომები) როგორც ასეთი, არ არსებობენ, მაგრამ სარაიონო ცენტრებში მიმაგრებულნი არიან პას. მგ. ინსტრუქტორები, რომლებიც ხელმძღვანელობენ პარტიულ მუშაობას თემკომებში და აგრეთვე უჯრედებში (ასეა პარტაპარატი მოწყობილი სენაკის მაზრაში).

აქ ბევრი იფიქრებს: თუ კი რაიონის ინსტრუქტორი ხელმძღვანელობას უწევს მუშაობას თემკომებს გარდა უჯრედებსაც, მით უმეტეს საჭიროც არის. თემკომების გაუქმება და სარაიონო ცენტრებში კი არამც თუ ერთი ინსტრუქტორის, არამედ სარაიონო კომიტეტის დაარსებაო. მაგრამ საქმე არც მთლად ისეა, როგორც ეს ერთის შეხედვით გვეჩვენება.

ჯერ ერთი, როგორც ზემოთ ვთქვით, რაიონში შედის 15—20 უჯრედი, რომლებიც დაშორებული არიან სარაიონო ცენტრიდან 7—8, ზოგან უფრო მეტი, ვერსით; მაშასადამე ამ შორე მანძილიდან ხელმძღვანელობა ვერ მოიტანს სათანადო ნაყოფს, მასთან უჯრედების რიცხვი ისე დიდია, რომ ერთი და ორი კაცი ვერ გასწვდება მას; ყველაფერი ეს აფერხებს მუშაობას.

მეორედ, იბადება კითხვა: რომელ ორგანიზაციაში უნდა იქნან გაერთიანებული უჯრედები? ჩვენი სასოფლო გლეხებისაგან შემდგარი უჯრედი, რომლის წევრთა რიცხვი მცირეა 10—15 (ზოგან ნაკლები), ხომ თავის თავად არ წარმოადგენს ასეთ ორგანიზაციას. ისინი უნდა იქნან გაერთიანებული რომელიმე ისეთ ორგანიზაციაში, სადაც კომიტეტიც იქნება დარჩენილი; ასეთ ორგანიზაციად თუ რაიონს დავისახავთ, ცხადია, რომ მუშაობა დიდ ნაყოფს ვერ მოგვცემს; ეს განუხორციელებელია: 8—9 ვერსზე დაშორებულ გლეხ—კომუნისტს ჩვენ ვერ ვაიძულებთ ყოველ კვირეში იარონ სარაიონო გაერთიანებულ პარტკომებზე, ხოლო ეს უკანასკნელი კი აუცილებელია, ვინაიდან უამისოდ ორგანიზაციაც არ იქნება, მარტო უჯრედის კრებაზე დასწრება ვერაფერს მისცემს სოფლის ამხანაგს, კავშირის დაკავებაც უჯრედიდან უშუალოდ რაიონთან შეუძლებელია. დღემდის კი ეს ორგანიზაცია ასეა მოწყობილი: ყველა უჯრედებს აერთიანებს თემკომი, სადაც, გარდა უჯრედების კრებისა, თვეში 4 ან 2 ჯერ მაინც ეწყობა გაერთიანებული კრება; თემკომი არის გამაერთიანებელი ორგანიზაცია ყველა უჯრედების. თემკომს აქვს უშუალო კავშირი მაზრკომთან; რაიონებთან მიმაგრებული ინსტრუქტორები კი უწევენ საერთო ხელმძღვანელობას თემკომებს და, რამდენად შესაძლებელია, უჯრედებსაც.

ამ შემთხვევაში სრული პარალელია გავლებული საბჭოთა აპარატებსა და პარტორგანიზაციებს შორის: ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი, სამაზრო აღმასკომები, ხოლო შემდეგ სათემო აღმასკომები, თემის საბჭო და მისი აღმასრულებელი კომიტეტი აერთიანებს რამოდენიმე (4—5—6—7) სოფლებს. ასეა პარტიული აპარატიც: ცეკა, სამაზრო პარტკომები, თემკომები, უჯრედები. როგორც დღევანდელი თემის საბჭო და სათემო (წინად საზოგადო) კრება აერთიანებს რამოდენიმე სოფლის გლეხობას, ისე სათემო პარტიული კომიტეტი (თემკომი) და სათემო პარტიული კრება აერთიანებს აგრეთვე ყველა უჯრედებს, რომლებიც დაფანტულია სოფლებში. ორივე ეს აპარატები სრულიად ბუნებრივი და ცხოვრების სინამდვილესთან შეფარდებულია.

რამდენად ცხოვრებისთვის მიუღებელია პროექტი თემის საბჭოს და მისი აღმასკომის გაუქმებაზე და სარაიონო საბჭოს თავისი აღმასკომით შექმნაზე, იმდენად მიუღებელი და განუხორციელებელია პროექტი თემკომის მოსპობაზე და რაიკომის დაარსებაზე. თემკომი უნდა დარჩეს, მაგრამ მისი პას. მგ. მდივანი კი უნდა იქნას დაკმაყოფილებული ჯამაგირით.

ვ. ნადარეიშვილი.

---

*) სადისკუსიო.

ამხ. სინკა ტაკაშვილის ხსოვნას

დუშეთის მაზრის მშრომელმა გლეხობამ და საქართველოს კომუნისტურ პარტიამ ამხ. ტაკაშვილის სახით ერთი საუკეთესო, კომუნიზმისთვის მებრძოლი ამხანაგი დაკარგა. დუშეთის მაზრამ ბევრი თავისი საუკეთესო შვილები შესწირა ხალხის განთავისუფლებას.

თვითმპყრობელობის დამარცხების შემდეგ როგორც მთელს საქართველოს, ისე დუშეთის მაზრის მშრომელ ხალხსაც ახალი ბატონები მოევლინენ—მენშევიკები. მენშევიკების მოლალატურმა პოლიტიკამ მაზრაში შექმნა ისეთი პირობები, რომ მთელი მშრომელი გლეხობა მათ მოწინააღმდეგე ბანაკში გადავიდა, და ეს დუშეთის მაზრამ 1918 წ. აჯანყებით მთელს ქვეყანას უჩვენა. ამხ. ტაკაშვილის რევოლიუციონური ბრძოლაში ჩაბმაც სწორეთ ამ აჯანყებიდან იწყება. ბევრი მებრძოლი კომუნისტი, მუშა თუ გლეხი ბრძოლის ველზე იღუპება, ბევრი ტანჯვა წვალება აქვთ ცხოვრებაში გადატანილი, მარა მაინც ფართო ხალხისათვის უცნობნი არიან, ასე უცნობნივე შორდებიან ამ წუთისოფელს და სამუდამოთ იკარგება მათი ხსოვნა ფართო მასის გულში. ამხ. ტაკაშვილიც ერთი ასეთი ჩუმი და ფართე მასისათვის უცნობი მებრძოლი კომუნისტი გლეხი იყო დუშეთის მაზრაში. ამხ. ტაკაშვილი იყო ჩამომავლობით გლეხი, დუშეთის მაზრის, საგურამოს თემის, სოფ. ჯილაურის მცხოვრები, რომელიც დაიბადა 1890 წელს. მის მამას რაოდენი ერქვა და წვრილი ცოლშვილის მყოლე ძლიერ ხელ მოკლეთ სცხოვრობდა და გაჭირვების გამო შვილების სკოლაში აღზრდაზედ მას არც კი უფიქრია თუმც მის სოფ. მახლობლათ ილია წინამძღვრიშვილის საბაღოსნო სკოლა არსებობდა. ასეთმა მდგომარეობამ კი მისი უფროსი შვილი სინკა უსწავლელი დასტოვა... სინკა ჯარში იქნა წაყვანილი, თითქმის ექვსი წელიწადი იმსახურა. 1917 წლის რევოლიუციის შემდეგ დაბრუნდა სახლში, მარა არა ისეთი უსწავლელი და შეუგნებელი, როგორც ჯარში წასვლამდე იყო, არამედ საკმაოთ შეგნებული და გარევოლიუციონერებული, რომელიც თავის თავს სახლში მისვლისთანავე ბოლშევიკს უწოდებდა და ხალხშიც სცდილობდა ბოლშევიკური აზრების გავრცელებას. მე ამხ. ტაკაშვილი, როგორც ბოლშევიკი 1918 წლის დასაწყისში გავიცანი და მაშინ ჩვენი ორგანიზაციის ერთ საუკეთესო წევრად ითვლებოდა მთელ საგურამოს თემში; მას დავალებული ჰქონდა ჩვენი პარტიის თანამგრძნობთა გლეხურ ორგანიზაციის შექმნა. მალე დუშეთის აჯანყებამაც იფეთქა და ამხ. ტაკაშვილიც საგურამოს მშრომელ გლეხ კაცობას სათავეში ჩაუდგა და თითქმის ერთი კვირა გამაგრებული ჰქონდა სოფ. წიწამურის ვიწრო გასავალი, რათა მტერი აჯანყებულებს მაზრაში ჩუმად არ შემოპარვიყო. ამხ. ტაკაშვილს ჰქონდა დავალებული ზედაძეწის მთაზედ გადასავალი ბილიკების შეკვრა, რათა წიწამურში გამაგრებულ აჯანყებულებს ზურგიდან გვარდიელები არ დასხმოდნენ. ამ აჯანყებაში დუშეთის მაზრა დამარცხდა და ამხ. სინკასაც დაუწყეს დევნა. თავისუფლებისთვის მებრძოლი ტაკაშვილი მთავრობამ ვერ ჩაიგდო ხელში. მალე დადგა 1919 წელი და ჩვენც თავი წამოვყავით და მშრომელ გლეხობას საბჭოთა მთავრობის დამყარებისაკენ მოუწოდებდით. ამხ. ტაკაშვილს კი დაკისრებული ჰქონდა პასუხისმგებელ ორგანიზატორის მოვალეობა საგურამოს თემში და თავის მოვალეობას სამაგალითოდ ასრულებდა. 1919 წ. სექტემბრის თვეში ქ. დუშეთში მოვიწვიეთ სამაზრო არალეგალური პარტკონფერენცია, სადაც არჩეული იქნა მაზრპარტკომი და პარტკომში ამხ. ტაკაშვილიც შევიდა. ოქტომბრის თვეში აჯანყების ზარმაც დაკრა და ამხ. სინკა 17 ოქტომბერს ღამე თავისი ერთგული რაზმით ქ. დუშეთს სამხრეთით შემოერტყა. ამ აჯანყებაში ხალხი დამარცხდა და მესამე დღეს ამხ. ტაკაშვილიც დააპატიმრეს. ბევრს ამხ. სიკვდილით დასჯა მიუსაჯეს და მათ შორის ამხ. ტაკაშვილსაც. მარა მხოლოდ რვა ამხ. დახვრიტეს და ვისაც დამხმარე გამოუჩნდათ, დახვრეტა მათ უვადო კატორღათ შეუცვალეს. სხვა ამხ. ერთად ამხ. ტაკაშვილიც, როგორც უვადო კატორღელი, ჯერ თბილისის საგუბერნიო ციხეში ამყოფეს და შემდეგ ქუთაისის საკატორღო ციხეში გადაიყვანეს.

ვინც კი იჯდა მაშინ ქუთაისის საკატორღო ციხეში, ის უსათუოდ შეამჩნევდა ამხ. ტაკაშვილის გაბედულს და მხიარულს სახეს, რომელიც ხინუშიც არ აგდებდა, რომ მას სამუდამო კატორღა ჰქონდა მისჯილი და თავისი მხიარული ქცევით სხვა ამხ. უადვილებდა სამძიმო პატიმრობის კედლებში ცხოვრებას. 1920 წ. მაისს, რუსეთის საბჭოთა მთავრობასთან დადებულ ხელშეკრულების ძალით, მენშევიკურმა მთავრობამ ყველა პოლიტიკური პატიმარი ციხეებიდან გაანთავისუფლა და ამხ. ტაკაშვილიც სხვა ამხ. ერთად ეღირსა თავის სახლში დაბრუნებას და ბოლშევიკური აზრების ხალხში უფრო ფართეთ გავრცელებას, რისთვისაც მალე მენშევიკებმა ისევ მოუნდომეს დაპატიმრება, მაგრამ მათ ხელში ის ველარ ჩაიგდეს და ვიდრე საქართველოში საბჭოთა მთავრობა არ დამყარდა, ამხ. სინკა იშვიათად ეკარებოდა თავის ოჯახს, რადგანაც იცოდა, რომ უსათუოდ ან დაიჭერდნენ და ანდა გვარდიელები ჩუმათ სადმე მოკლავდნენ, როგორც ხშირათ ამას სჩადიოდნენ ჩვენ სხვა ამხანაგების მიმართ. საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ კი ამხ. სინკას საშუალება მიეცა თავისუფლათ ამოსუნთქვის და თითქმის მეტ ნაწილათ საგურამოს რაიპარტკომის მდივნობის მოვალეობას ასრულებდა. ამასთან სინკა არც ერთი თვალსაჩინო კონფერენციას ან ყრილობას არ დააკლდებოდა და მათში ყოველთვის მხურვალე მონაწილეობას ღებულობდა.

1922 წ. სექტემბრის თვეში კი მაზრპარტკომის მიერ პარტსკოლაში იქნა გაგზავნილი და ხუთი თვის შეუწყვეტელი მეცადინეობის შემდეგ უფრო მეტის შეგნებით თავის მაზრას დაუბრუნდა და შეუდგა საგურამოს თემპარტკომის მდივნის მოვალეობის შესრულებას. მაგრამ მშრომელი ხალხის მტრები და ნაძირალა თავად აზნაურების წრიდან გამოსულ ბრბო, რომელნიც ვერ ეგუებიან მშრომელი ხალხს ბატონობას და ტყის მხეცებივით დაძრწიან ტყეღრეში და თეთრი ტერორით სურთ მებრძოლი კომუნისტების შეშინება, ქურდულად ჩასაფრებულები, სოფ. ზედლონთ-კარის ტყეში მარტის პირველ რიცხვებში, ტყიდან ურმით მომავალს ამხ. ტაკაშვილს თავს დაესხნენ და სასიკვდილოდ დასჭრეს. მან კიდევ შესძლო ერთი კვირა სიცოცხლე და 6 მარტს რესპუბლიკის მთავარ სამკურნალოში გარდაიცვალა. ძვირფასი ამხ. ტაკაშვილის ცხედრის გასვენება თავის მშობელ სოფელში მოხდა 7 მარტს. გასვენებას დაესწრო ბევრი ამხ. და მთელი პარტსკოლა, რათა უკანასკნელი ამხანაგური პატივი ეცათ საყვარელ ამხანაგისთვის.

გ. ლაფანაშვილი.

ეკონომიური ცხოვრება

ტფილისის ბირჟის კურსი.

22 მარტი.

ოქროს თუმნიანი	—	5.500 ათ. მ.
გირვანქა სტერლ.	—	3.510 „
დოლარები	—	740 „
ოსმალ. ქაღ. ლირა	—	590 „
საბჭოთა ფულის ნიშნ.		16 1/4.

ბირჟის მიწოდება.

ჩაქვის ჩაი, საპონი მარსელის „მამალი“, საპონი „ბაბიტი“, კონსერვები, მანუფაქტურა რუსეთის, მატყლი ყაზახის მაზ. მინა ფანჯრის, არაყი, ფქვილი ამერიკული, მარილი, ლურსმანი, რკინა, ბრინჯი, სოდა, ცარცი.

ბირჟის მოთხოვნილება.

ბამბა, მატყლი, ფქვილი ყუბანის, 1 ხარისხ, პრობკა № 12—№ 16, მავთული, № 14, შაქრის ფხვნილი, მანუფაქტურა რუსეთის, ზეთი მზესუმზირასი რუსული.

ტფილისის ბაზარზე.

22 მარტი.

ხორბალი და პურის პროდუქტები უცვლელია, ცხიმები—მტკიცე ფასები, შაქრის ფასი უცვლელია, ნედლი მასალა—უცვლელია.

ტფილისის ბაზრის ფასები.

საბითუმო ფასები დაახლოვებით შემდეგია: ყუბანის ხორბალი ფუთი—380—400. ადგილობრივი—360—370. სიმინდი—175—200. აკულინის ბრინჯი—2400 ათ. ყუბანის ფქვილი 1 ხარისხის 850—900. ადგილობრივი ფქვილი—470—490. საზღვარ გარეთის შაქარი რაფინადი 5900—6000. ფხვნილი შაქარი 3500—3600. კარაქი 1 ხარისხის 15—14000. რუსეთის ასანთი „ვოლკოვის“ და „ბერეზინას“, ყუთი—9 მან. ოქროთი. გადამდნარი ერბო 1 ხარისხ. ფუთი 7500—8000. თუშური ყველი ფუთი 4800—5500. საბზა ფუთი—4 მან. 20 კაპ. ოქროთი. ადგილობრივი მარმარილოს საპონი ფუთი—2900.

ტფილისის სადგურზე.

18—19 მარტს სადგურზე მოვიდა შემდეგი ტვირთი: სახელმწიფო დაწესებულების მისამართით— 1790 ფუთი. ხორბალი, 1002 ფუთი. ფქვილი, 845 ფ. მანუფაქტურა, 780 ფ. ქაღალდი, 848 ფ. შაბიამანი, 504 ელექტრონის ლამპა; კერძო პირების მისამართით—1,001 ფ., სიმინდი, 732 ფ. ფქვილი, 435 ფ. სპირტი, 610 ფ. ღვინო, 471 ფ. საკანცელიარიო საგნები; კოოპერატივების მისამართით 733 ფ. „სოლონინა“ 1,522 ფ. თევზი და ამერიკულ კომიტეტმა მიიღო 1,719 ფუთი ტანისაცმელი.

ქრონიკა

სახ. კომისართა საბჭოში.

— **სიღნაღის წყალსადენი.** სიღნაღის სამაზრო აღმასკომმა შუამდგომლობა აღძრა საქ. სახ. კომისართა საბჭოს წინაშე, რათა სიღნაღის წყალსადენის აღსადგენათ გაღებული იქნას 9600 მან. ოქროთი, რომლის ნახევარი შეგროვებული იქნება ადგილობრივ მცხოვრებლებლებს შორის.

— **შუამავლობა მონადირეთა კავშირის.** მონადირეთა ცენტ. კავშირის საბჭომ შუამდგომლობა აღძრა კომ. საბჭოს წინაშე, რათა მიწად-მოქმედების კომისარიატის მიერ 1923 წლიდან მონადირეთა კავშირის წევრებზე შემოღებული გადასახადის 3 მან. ოქროთი, გაუქმებული იქნეს, რადგან კავშირის წევრების უმრავლესობა ეკუთვნის მშრომელთა ნაწილს და აგრეთვე აღნიშნული გადასახადი გამოიწვევს ფარულ ნადირობას.

ქალაქის აღმასკომში

— **მუდმივი დახმარება.** ქალაქის აღმასკომის მცირე პრეზიდიუმმა დაადგინა, კავკასიის ცალკე არმიის განსაკუთრებულ ცხენოსანთა არმიას ყოველთვიურათ დახმარების სახით დაენიშნოს 100 მილიონი მან. 1 მარტიდან.

— **ამხ. კამოს ბიუსტი.** ამავე პრეზიდიუმის დადგენილებით, შეძენილი იქნა ამხ. კამოს ბიუსტი, რომელიც დაიდგმება აღმასკომის სხდომის დარბაზში.

— **სანიტარული გაუმჯობესებისათვის.** ამავე სხდომაზე პრეზიდიუმმა დაადგინა, წინადადება მიეცეს სამმართველოს განყოფილებას, ჯანმრთელობის განყოფილებასთან ერთად დაათვალიეროს ის სავაჭროები, რომლებსაც ვაჭრობის ნებართვა სანიტარულ ექიმებიდან არ მიუღიათ და თუ აღნიშნული სავაჭროები აღმოჩნდებიან ანტისანიტარულ მდგომარეობაში, დაკეტილი იქნან სათანადო ოქმის შეყენებით.

— **მოხალისე კორესპონდენტთა სიის დამტკიცება.** პრეზიდიუმმა დაამტკიცა სტატისტიკურ განყოფილების მიერ წარმოდგენილი მოხალისე კორესპონდენტთა სია და დაადგინა აღძრას შუამდგომლობა ცენტ. აღმასკომის კომ. წინაშე მათი ყოველგვარი გადასახადებისაგან განთავისუფლების შესახებ.

— **უფასო აბანო მილიციის თანამშრომლებისათვის.** პრეზიდიუმმა დაადგინა სამმართველოს განყოფილებას გადაეცეს ერთ-ერთი აბანო, კვირაში ერთხელ მილიციის თანამშრომლებისათვის უფასოთ სარგებლობის მიზნით.

— **ახალი ნიხრი მსწრაფლ დამხმარე ეტლით სარგებლობაზე.** პრეზიდიუმმა დაადგინა, მსწრაფლ-დამხმარე ეტლზე, ავადმყოფებზე გადასაყვანათ, გადიდებული იქნეს ნიხრი შემდეგი სახით 20 მარტიდან: მცირე მანძილზე—100 ათასი მან. დიდ მანძილზე—150 ათასი მან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუშათა ცხოვრება

იურიდიული დახმარება ამხ. მუშებს

კითხვა: რა რაოდენობით ეძლევათ ნარდათ მომუშავეთ გასამრჯელო იმ შემთხვევაში, როდესაც იცვლება შრომის ხელფასის განაკვეთი?

პასუხი: აღნიშნულ შემთხვევაში დაქირავებულთა ხელფასიც იცვლება ახალ განაკვეთის მიხედვით.

კითხვა: რა რაოდენობით ეძლევათ დაქირავებულთ გასამრჯელო იმ სამუშაოსი, რომელიც უკვე დაწყებული იყო ვიდრე თვით ნარდ სამუშაოს ხელფასი შეიცვლებოდა?

პასუხი: მათ ეძლევათ ხელფასი იმ რაოდენობით, რომელსაც დააწესებს შემფასებელ-საკონფლიქტო კომისია და თუ ის სხვადასხვა მიზეზების გამო არ არსებობს, მაშინ დავა სწყდება ანუ სათანადო პროფკავშირთან მორიგებით ან და კონფლიქტის წესით.

ს. პ. კ. ს. იურიდიული ბიურო.

ჩვენი მუშურ-გლეხური მილიციის ეკონომიური მდგომარეობა

თანახმად სახალხო სასურსათო კომისარიატის განკარგულებისა, ამა წ. 1-ლ მარტიდან მილიციელთ ნაცვლად 2 გირვანქა გამომცხვარ პურისა ეძლევათ 2 გირ. ფქვილი თვიურულს. ალმასკომის სამმართველოს განყოფილებამ მიიღო რა მხედველობაში ის გარემოება, რომ მილიციელთა უმრავლესობა უცოლშვილოა და ფქვილის მოხმარება მათთვის მოუხერხებელი იქნებოდა, დასდვა შეჯიბრებითი ვაჭრობის შემდეგ შესაფერი ხელშეკრულება, რომლის ძალით მოიჯარადრე მიმდინარე თვის 13 დან იძლევა ერთ ფუთ ფქვილში 1 ფუთს და 14 გირ. გამომცხვარ პურს. ამ რიგათ ამიერიდან თვითეული მილიციელი ღებულობს ყოველდღიურად ორ-ნახ. გირ. საუკეთესო ხარისხის პურს.

აგრეთვე შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის მიერ შეძენილია საუცხოვო ხარისხის მატერია მილიციელთათვის ტანისამოსის დასამზადებლად. ტანისამოსის შეკერვა სწარმოებს ფრიად დიდი სისწრაფით და მოკლე დროში ალმასკომის სამმართველო განყოფილებას საშუალება ექნება მილიციელთ დაურიგოს სრული კომპლექტი ტანისამოსისა.

ინფ.-კორ. უცხო.

სახლის პატრონები უნდა აილაგმონ

(ქალ. ალმასკომის საყურადღებოდ)

მთავრობამ კარგა ხანია რაც მოახდინა ზოგიერთ სახლების დემუნიციპალიზაცია. მთავრობამ გადასცა ზოგიერთი სახლები მათ ძველ პატრონებს იმ მიზნით, რომ ეს სახლები მათ შეეკეთებინათ და მასთან ესარგებლათ თავიანთ სახლების ქირით.

ჩვენ კი, სამწუხაროდ, ვხედავთ წინააღმდეგს. მთავრობის კეთილი განზრახვანი გაუმაძღარ სახლის შეპატრონეებმა გამოიყენეს მხოლოდ თავის ჯიბეების გასასქელებლად. სახლების შეკეთებაზე ისინი სრულებით აღარ ზრუნავენ, სახლები ინგრევა და ფუჭდება.

ავიღოთ, მაგალითად, სახლი № 122, რომელიც მოთავსებულია პლეხანოვის ქუჩაზე. ის წარმოადგენს სამსართულიან შენობას, რომელიც მთლად მიბინძურებულია. ამ სიბინძურეში კი სცხოვრობს 80 კაცი—მუშა მოსამსახურე. აღნიშნულ სახლის პატრონი გამოჩნდება მხოლოდ სახლის ქირის აკრეფის დროს, მანამდე ის სახლს არ ეკარება. სახლის ქირის აკრეფა კი ხდება უხეში სიტყვებით და ლანძღვა-ყვირილით. მდგმურები, რომელთა უმეტესობა მუშებისგან შესდგება, დიდად შევიწროებული არიან ასეთ სახლის პატრონის თავგასულობით. არავითარ სახლის შეკეთებაზე ის აღარ ზრუნავს.

წყლის მილები „უკრანოდ“ არის და თითქმის ყველგან დახეთქილია და წყალი სრულიად უსარგებლოდ იქცევა, წყლის ფასს კი მუშებს აწერენ და მათი შრომისგან დაქანცულ კისრებზე იდებენ. კანალიზაციის მილებიც ყველგან დახეთქილია, რის გამო ეზოში გამოდის საშინელი სიბინძურე, რაც ჰქმნის ფრიად საშიში ანტისანიტარულ მდგომარეობას.

საჭიროა, მეტი ყურადღება მიაქციოს ალმასკომმა ასეთ აღვირ-ახსნილ სახლის მეპატრონეებს და საჩქაროდ გადასჭრას სახლების ხელმეორედ მუნიციპალიზაციის საკითხი, რომლის დაყოვნება დაუშვებელია და საბჭოთა აღმშენებლობისათვის საზარალო და მავნებელი, ვინაიდან სახლის პატრონები განზრახ აფუჭებენ სახლებს.

პლეხანოვის ქუჩის № 122 სახლის მდგმურ მუშების სახელით—მუშა **ჭაგაშვილი.**

უპარტიო მუშის ხმა

მე მინდა შევეკითხო, თუ ვინ ვიყავით დღემდე ჩვენ და დღეს კი ვინა ვართ ჩვენ, მუშები. საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე ჩვენთვის ყველგან კარი დაკეტილი იყო. ჯერ ორ ფრთიანი არწივები სისხლსა გვწოვდნენ და ჩვენი შრომით ისინი სუქდებოდნენ. იმ დროს ჩვენ, წელმოხრილნი დავდიოდით და ყველანი თავში გვიბრახუნებდნენ და ყველასი მონა-მორჩილნიც ვიყავით. ან ვის გვინახავს, რომ ჩვენთვის ქარხნებში ვინმეს სალხინო საღამოები მოეწყო და სხვა.

მენშევიკების დროს მხოლოდ ზეცის სამოთხეს გვპირდებოდნენ და ნამდვილად კი ჩვენი მდგომარეობა ისევ ძველებური მონური იყო. დღეს კი ყოველივე ამას ბოლო მოეღო. დღეს ჩვენ ვართ ჩვენი თავის ბატონ-პატრონები. დღეს ჩვენ, ჩვენს ცხოვრებაში ვხედავთ იმას, რაც არ გვინახავს და არც გვეგონა, რომ ამას ოდესმე ვნახავდით.

დღეს ყველა მუშათა რაიონებში, თეატრებში მუშათა კლუბებში და ყველა ქარხნებში იმართება საღამოები, რომელსაც ყველა მუშები სიხარულით ვესწრებით. ყოველ ქარხანაში გვაქვს მუშებისათვის სკოლები. ყველა მუშას შეუძლია თავისუფლად შესვლა თავის გაზეთ „კომუნისტი“-ს რედაქციაში—ამხანაგური საქმიანი საუბრისთვის. ყოველივე მუშას შეუძლია სწეროს მასზე, რაც მას აწუხებს და „ალხინებს“. ზემოხსენებული რედაქცია დიდი სიხარულით მიიღებს ყოველი მუშის წერილებს. ასე რომ ყოველივე გზა პატიოსან და ნამდვილ მუშებისთვის ღია არის. მხოლოდ შეუგნებელ მუშებისათვის ასეთი ბედნიერება უბედურებად იქცევა და მუშათა მთლიან ოჯახში შეაქვს შური, მტრობა და შეუფერებელი განხეთქილება, რაც ასუსტებს ჩვენს ძალებს და მტრებს კი ამაგრებს და აფხიზლებს.

შევერთდეთ პატიოსანო მუშებო ერთ დროშის ქვეშ; ერთ ბრწყინვალე წითელ ვარსკვლავ ქვეშ და გავსწიოთ წინ კომუნიზმისაკენ! მაშ გაუმარჯოს პატიოსან მუშების მთლიან ოჯახს! გაუმარჯოს კომუნისტურ პარტიას! გაუმარჯოს მე-3 ინტერნაციონალს! გაუმარჯოს კომუნიზმს!

მუშა გ. მ—შვილი.

პროფკავშირებში

— **ჩაქვის სახალხო მამულის მუშების მდგომარეობა.** ჩაქვის სახალხო მამულის მუშა-მოსამსახურეთა მდგომარეობის გასაუმჯობესებლად საქ. პროფკავშირთა საბჭოს სეკრეტარიატმა დაადგინა მიღებულ იქნას შემდეგი ზომები: 1. მუშა მოსამსახურეთა ბინების შეკეთება, 2. ხელფასის თავის დროზე მიცემა. 3. დაქირავებულ მუშა მოსამსახურეთა ყველა კატეგორიის აუცილებელი დაზღვევა. 4. სავადმყოფოს გახსნა, 5. მამულის კოოპერატივისათვის ფართე კრედიტის გახსნა, როგორც საქონლით, ისე ფულით. ხე-ტყის მწარმოებელთა კავშირს წინადადება მიეცა წამოაყენოს ჩაქვის სახალხო მამულის 100 პროც. სატარიფო სარტყელში გადაყვანის საკითხი.

— **საბინაო კოოპერატივისათვის კრედიტის გახსნის საკითხი.** საქ. პ. კ. ს. სეკრეტარიატმა აუცილებლად აღიარა საბინაო კოოპერატივისათვის კრედიტის მიცემა და სატარიფო—ეკონომიურ განყოფილებას დაავალა სათანადო ორგანოში აღძრას ეს საკითხი.

— **„ჰიდრო აღმშენებლობის“ განყოფილების მუშაობა.** საქ. პ. კ. ს. სეკრეტარიატმა დამაკმაყოფილებლად იცნო ჰიდრო აღმშენებლობის განყოფილების მუშაობა და და დაადგინა წინადადება მისცეს, რათა განყოფილებამ სასწრაფოდ გაატაროს ცხოვრებაში სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილება სამელიორაციო ამხანაგობების დაარსების შესახებ.

— **ბადიაურის წისქვილის ჰიდრო ენერგიაზე გადაყვანა.** საქ. პ. კ. ს. სეკრეტარიატმა დაადგინა სთხოვოს სახ. კომისართა საბჭოს საჭირო კრედიტის გახსნა ბადიაურის წისქვილის ჰიდრო ენერგიაზე გადასაყვანად.

ბანდიტების შეპყრობა

— **ბანდიტების შეპყრობა.** საგანგებო კომისიის მიერ შეპყრობილი იქნა ბანდიტების ჯგუფი 8 კაცისაგან შემდგარი, რომლებიც საგანგებო კომისიის ყალბი მანდატებით თავს ესხმოდენ ღამით თბილისის მცხოვრებლებს. აღნიშნულმა ბანდიტებმა ჩაიდინეს ბევრი სისხლის სამართლის დანაშაულის ბოროტმოქმედებები, ბანდიტებთან ერთად შეპყრობილი იქნა მათი მეთაური ვინმე ბეკ-ნალაბანდოვი.

— **ზუგდიდის ხაზინის გამძარცველების შეპყრობა.** შეპყრობილი იქნენ 11 კაცი, რომელსაც ბრალდებათ 11 თებერვალს ზუგდიდის ხაზინიდან 9 მილიარდი მანეთის გატაცება. აღნიშნული ხაზინის კასა გაძარცული იქნა კედლის გამონგრევის საშუალებით. შეპყრობილთა შორის აღმოჩნდა 3 თვით ხაზინის მოსამსახურენი (მოანგარიშენი).

— **ხაზ. მამულებიდან დიდ ფასიან ღვინოების ქურდების შეპყრობა.** სახ მამულების ღვინის საწყობებში შემჩნეული იქნა ძველი ღვინოების ქურდობა, რომელიც ინახებოდა სანიმუშოთ. რევიზიის შემდეგ აღმოჩნდა რომ აღნიშნული ხარისხის ღვინოები წაღებულია რამდენიმე მილიარდის. მილიციის მიერ შეპყრობილი იქნენ: ბორის ეგოროვი და მესაკოვი ანატოლი აღნიშნულნი პირნი ირიცხებოდენ საწყობის თანამშრომლებათ.

მილიციის მთავარ მმართველობაში

— **ბოროტ-მოქმედებანი იანვრის განმავლობაში.** 1923 წლის იანვრის განმავლობაში ტფილისში ადგილი ჰქონდა სხვადასხვა სახის ბოროტმოქმედებებს, სულ 140. აქედან: ქურდობა—101, გაძარცვა—7, მკვლელობა—2, თვითმკვლელობა—2, სიკვდილის განზრახვით თავდასხმა—6, სხვადასხვა ხასიათის ბოროტ-მოქმედება—30. ქურდობისაგან დაზარალება გამოიხატება 7.182.158.184 მან. აღნიშნული ზარალი თითო მოქალაქეზე მოდის 28.757 მან. დაპატიმრებული იქნა ბოროტ-მოქმედების 69 პროცენტი აქედან მამაკაცები 63 პროც., დედაკაცები—8 პროც., ეროვნებით: ქართველი—15 პროც., სომეხი—23 პროც., რუსი—22 პროც., სხვადასხვა ეროვნების—10 პრ., წერა-კითხვის მცოდნე—37 პროც., არა-მცოდნე—34 პროცენტი.

სხვა და სხვა.

— **უპარტიო მუშები სარწმუნოების წინააღმდეგ.** ქალაქის ალმასკომის მიწად-მოქმედების განყოფილების მუშებმა, რიცხვით 47 კაცმა, განცხადებით მიმართა პროფკავშირთა საბჭოს იშუამდგომლოს სახალხო კომისართა საბჭოს წინაშე რათა გადაცემული იქნეს მათ განკარგულებაში სამკითხველოსათვის ალექსანდრეს ბაღის ტაძარი, ხსენებულ შუამდგომლობას სახ. კომისართა საბჭო განიხილავს ამ დღეებში.

— **პროსტიტუტკების გასამართლება.** რამდენიმე დღის წინ, პროფ. კავშირების კლუბში ჯანმრთელობის კომისარიატის სასანიტარო განათლების საბჭოს ინიციატივით მოწყობილ იქნა პროსტიტუტკების გასამართლება: გასამართლებამ გამოარკვია, რომ ხსენებული მოვლენის ერთ-ერთი მიზეზი იყო ძველი თვითმპყრობელური რუსეთის მიერ შექმნილი პირობები. საბჭოთა ხელისუფლების დროს კი ქალი თავისუფალია და მას შეუძლია მამაკაცებთან ერთად ჩაებას საერთო მუშაობაში. ეს მდგომარეობა კი მოსპობს პროსტიტუციას, რაც უკვე ჩანს. გასამართლებამ დიდი ინტერესი გამოიწვია. განზრახულია გასამართლება მოეწყოს აგრეთვე მუშათა სხვა უბნებშიაც.

პროვინციაში

ზემო სურების თემი.

ეს თემი არის გურიის ერთ ერთი თემთაგანი, რომელიც გაშენებულია მდინარე სუფსის დასაწყისთან, მის ორივე ნაპირებზე განათლების მხრივ ეს თემი არ ჩამოუვარდება სხვა თემებს გურიაში.

ამ თემის დაწესებულებებს შეადგენენ: ერთი რვა წლიანი შრომის სკოლა, ორი ოთხ წლიანი ორი კოოპერატივი, ფოსტა ტელეგრაფის განყოფილება, საფერშლო პუნქტი, სამკითხველო და აფთიაქი. აფთიაქი სახალხოა, ის დაარსებულ იქნა 1916 წელს. მისი დაარსება გამოწვეული იყო იმ გაჭირვების თავიდან ასაცილებლად, რომელიც ხშირად ადგებოდა აქაურ გლეხობას, რომელიც წამლების შესაძენად უნდა წასულიყო დაბა ჩოხატაურში. ეს დაწესებულებაც პირნათლად ემსახურებოდა თავის დანიშნულებას. 1921 წელს თუმცა აფთიაქის მუშაობა შეფერხდა, მაგრამ მალე მას მოევლინა ისეთი პირები, რომლებმაც აფთიაქის საქმე მალე მოაგვარეს. ამისათვის საჭირო იყო თანხა, რადგანაც ფულის კურსის დაცემის შემდეგ არსებული თანხა ძლიერ ცოტა შეიქნა. იძულებული ვიყავით მიგვემართა ჯანმრთელობის კომისარიატისთვის თხოვნით, რათა ნისიათ დაეთმოთ წამლეულობა. ჩვენი თხოვნა ამხ. ბარონ ბიბინეიშვილის თავდებობით იქნა დაკმაყოფილებული და კომისარიატმა სამხელ მოგვცა ნისიათ წამლები, რის საფასური თავის დროზე იქნა შეტანილი. ამან აფთიაქის საქმე ძალიან დააწინაურა. 25 თებერვალს 1923 წ. მოხდა ამავე თემის მასიური კრება, აფთიაქის წლიური ანგარიშის მოსასმენად. კრებას დაესწრო მცხოვრებთა დიდი უმრავლესობა. კრებამ მოისმინა რა წლიური ანგარიში და გამგეობის მუშაობა, დაადგინა შემდეგი: გამოეცხადოს უღრმესი მადლობა პრესის საშუალებით ჯანმრთელობის კომისარიატს, რომელიც, გაუწია რა მან ანგარიში ხალხის თხოვნას, დაეხმარა მას. გამოეცხადოს აგრეთვე უღრმესი მადლობა ამხ. ბარონ ბიბინეიშვილს დახმარებისათვის. კრება უღრმეს მადლობას უცხადებს აგრეთვე გამგეობის წევრებს თავისი ენერგიულ და დაუღალავ მუშაობისათვის.

კრების დავალებით:

მიხ. ეზიეშვილი.

ჩვენი ფოსტა

რედაქცია, დაბეჯითებით სთხოვს ყველა დაწესებულებებს და თანამშრომლებს, რომლებიც აგზავნიან მასალებს გაზეთში დასაბეჭდათ დასწერონ წერილები სუფთად, ქაღალდის მხოლოდ ერთ გვერდზე. წინააღმდეგ შემთხვევაში წერილები არ დაიბეჭდება.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

დადგენილება

ს. ს. ს. რ. შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატისა.

მუნიციპალიზაცია და ნაციონალიზაცია ქმნილ სახლების შესახებ *)

ადგილობრივ აღმასრულებელ კომიტეტების მიერ წარმოდგენილი მუნიციპალიზაცია და ნაციონალიზაცია მოსახდენ სახლების სიიდან—მუნიციპალიზაცია და ნაციონალიზაცია ქმნილად გამოცხადებულია შემდეგ პირთა სახლები:

ქუთაისის მაზრაში—ქ. ქუთაისში.

51. ძმ. ქავჟავაძეების შენობა, შოთა რუსთავ ქ. 52. სიმონ ეზიკოვის შენობა, ტფილისის ქ. ეხლა 3 ინტ 53. დიმიტრი ჩიკვაშვილის შენობა, ა. წერეთლის ქ. 54 ძმ. კრინიცკების, ზდანოვიჩი ქ. 55. ღოღობერიძის ყოფ შენობა, ზდანოვიჩის ქ. შესახვ. 56. ფიჩხაძის სასტუმრო „ერმიტაჟის“ შენობა, მე 3-ე ინტ. 57. ჯ. ჯავახის შენობა, გოსპიტლის ქ. 58. ესტატე ლუკას ძე კულუმშვილის, ნინოშვილის ქ. შესახ. 59. ეკატერინე გრიგორიევის ასულის სახლი, ინჟენ. შესახ. 60. მეორე გიმნაზიის შენობა, ქავჟავაძის ქ. 61. ძმ. ოცხელების შენობა, საბჭოთა ქ. 62 მიხეილ ძოწიაშვილის, საშა წულუკიძის ქ. 63 აარონ ელიგულაშვილის, საშა წულუკიძის ქ. 64 ფარნა კაცაძის და ბოლქვაძის შენობა, ჯულაშვილ. ქ შეს 65. ყოფილი ოლდენბურგის შენობა, რუსთაველის ქ. 66. საურთიერთო ბანკის შენობა, პუშკინის ქ. 67. კოწია ნიკოლაძის, ლენინის ქ. 68. დარისპან ჯანელიძის, მე 3-ე ინტერნაციონალ. 69. რაფიელ ელოშვილის, რუსთაველის ქ. 70. პეტრე-პავლეს ეკლესიის სასაფლაოს შენობა, მარდალეიშ. ქ. 71. კაუხჩევის შენობა, მე 3-ე ინტერნაც. 72. გვინჩის შენობა, რკინის გზის სადგური 73. მაკარ აუშტროვის შენობა, ა. წერეთლის ქ. 74. სამსონ კალანდარაშვილის, ჩიქოვანის და დავითაიას შენობა, ზდანოვიჩის ქ. 75. პულიკის შენობა ა. წერეთლის ქ. 76. მიხეილ მოწონაშვილის, წერეთლის ქ. 77. აარონ რიჟინაშვილის, შაუმიანის ქ 78 შალომ და ილია რიჟინაშვილების, მე 3-ე ინტერნაც. 79 რაზუმოვსკის შენობა, გოსპიტლის ქ. 80. მთავარ ანგელოზის ეკლესიის შენობა, ლიუქ ემბ. ქ. 81. ყოფილ საადგილ-მამულო ბანკის შენობა, მე 3-ე ინტერნ. 82 უდალოვის და ვავილოვის შენობა, ლიუქ ემბურგ. ქ. 83 პირველი კლასიკური გიმნაზიის შენობა, ლიბკნ. ქ. 84. დიმიტრი ბახტაძის. 85. გრიგოლ ბოკერიას ასულის შენობა, მე 3-ე ინტერნაც. 86. კაზმინსკის (სკაპეცის) შენობა, მე 3-ე ინტერნ ქ. 87. გაბუნიას შენობა, ყოფილი საკრებულო, ლენინის ქ. 88. ყოფილ კეთილაძის შენობა, ნინოშვილის ქ. 89. საკუთარი შენობა ყოფილი სავადმყოფოსი, ზდანოვ. ქ. 90. სოფიო ხოჯევანიშვილის შენობა, ტროცკის ქ. 91. ყოფილი რეალური სასწავლებლის შენობა, მე 3-ე ინტ. ქ. 92. სანებლიძის შენობა, ნინოშვილის ქ. 93. ყოფილი სამეურნეო სასწავლებლის შენობა, არჩ. ჯორჯ. ქ. 94. გიორგი კახიანის შენობა, ინჟენრის ქ. 95. ისხაკ ელიგულაშვილის, გელათის ქ. 96. გაბილაიას შენობა ყოფილი სასტუმრო „იარი“, ვოლოდარსკის ქ. 97. სოფიო მიქელაძის, ტროცკის ქ. 98. ბენიამინე რიჟინაშვილის, ლენინის ქ. 99. ჭიჭინაძის შენობა, მე 3-ე ინტ. ქ. 100. ჭიჭიკო არჯევანიძის შენობა, მე 3-ე ინტერნაციონალის ქ. 101. ისხაკ ელიგულაშვილის შენობა, ნინოშვილის ქ. 102. ყოფილი სასტუმრო „იბერია“ ფიჩხაძის შენობა, შაუმიანის ქუჩა. 103. რაფიელ ელუაშვილის, გელათის ქ. 104. მთავარ ანგელოზის სასაფლაოს ეკლესიის შენობა (სასკოლო), ნინოშვილის ქ. შესახვევი. 105. იოსებ და სოლომონ ელიგულაშვილის ყოფილი მამული, რომელიც შესდგება ნაკვეთი მიწისაგან ზომით 255 ოთხკუთხი საჟ. და ზედ აშენებულია ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი. 106. მებიამენ რიჟინაშვილის ყოფილი მამული ორ სართულიანი სახლი და ეზო ზომით 152 ოთხკუთხი საჟ., ლენინის ქ. 107. ადგილობრივ კათოლიკეთა ეკლესიის და სარწმუნოებრივ საზოგადოება „ძმობა“-ს ყოფილი მამულები: 108. ქვითკირის ორ სართულიანი სახლი, შაუმიანის ქ. 109. ქვითკირის ორ სართულიანი სახლი და ეზო ზომით 380 ოთხკუთხიანი საჟენი, ფ. მახარაძის ქ. 110. ძველი სასაფლაოს დასაწყისში ქვითკირის ორ სართულიანი სახლი და ეზო ზომით 300 ოთხკუთხი საჟ., ლენინის ქ. 111. ქვითკირის ორ სართულიანი სახლი და ეზო ზომით 2.450 ოთხკუთხი საჟ., ლერმონტოვის ქ. 112. სიმონ ხეჩინოვის სახლი. 113. ალექსანდრე ნოზაძის სახლი, ტროცკის ქ. 114. იოსებ კემულარიას ორი სახლი.

რაჭის მაზრაში,—ქ. ონში.

1. ერისთავის, სახელი არ არის აღნიშნული. 2 და 3. ჩანჩაშვილების. 4. ჩიკვაძის. 5 და 6. ჯაფარიძეების. 7. გიორგობიანის. 8. ბერუჩევის

ლეჩხუმის მაზრაში,—დ. ცაგერში.

1. გიორგი პავლესძე არაბიძის, 2. არტემ ოქროპირი ძე გოლეთიანის, 3. ბესარიონ ლაზარესძე ბენდელიანის.

შორაპნის მაზრაში,—ქ. ჭიათურაში.

1. გიორგი გუჯეჯიანის, 2. პეტრე აბაშიძის, 3. დარისპან გაჩეჩილაძის, 4 და 5 სანდრო წერეთლის, 6. ჭიათურის მრეწველთა საბჭოს, 7. ვლადიმერ წერეთლის, 8 ვიქტორ მელიქოვის, 9. გაფრინდაშვილის, სახელი არ არის აღნიშნული.

თბილისის მაზრაში,—დ. მანგლისში.

1. გრიგოროვიჩის, სახელი არ არის აღნიშნული, 2. ჩეკინის, 3. შლიკერის, 4. ელობას, 5. პომერანცევის, 6. კოლჩინის, 7. მიგრაურის, 8. დეკაურის და წიკლაურის ნ. 9. ბაი-სოგოლოვი, 10 ნიკოლოზ ყვრიშვილის, 11. გიორგი ყავრიშვილის, 12 ჯალალოვის, 13. ცატუროვის, 14. ოდნოსუმოვის, 15. სვისტუნ ზდანოვიჩის, 16. ედიგაროვის, 17. მოისეევის, 18. კათოლიკეთა ეკლესიის სახლი, 19. შ. ბანოვის, 20. კაკაბაძის, 21. ევგიტიანის, 22. უბა გედევანოვის, 23 სოფელ ქვემო-ავჭალაში, პატრონი არ არის აღნიშნული, 24. ყარაიაზზე მდებარე შენობა, პატრონი არ არის აღნიშნული, 25. კოჯორში მდებარე შენობა, პატრონი არ არის აღნიშნული, სახლი ერთ აგარაკში, 26. ტამპაშევის ხუთი სახლი ერთ აგარაკში, 27. სადაიანცის ორი სახლი ერთ აგარაკში, 28. დობაცანსკის სამი სახლი ერთ აგარაკში, 29. ასლამაზოვის ორი სახლი, 30. ელიაზაროვის, 31. სალხინო, ვისია არ არის აღნიშნული.

1922 წლის 7 ივლისში საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის მიერ სოფ. წყნეთის ნაციონალიზაცია ქმნილ სახლების დამტკიცებულ სიიდან—გამორიცხულია: 1. არტემ ჩიმიშკიანის, 2. ჯანგოვის, 3 მცირეწლოვან იაგორ მებუთოვის.

დუშეთის მაზრაში,—ქ. დუშეთში.

1 და 2. ნიკო კეზელის, 3, 4 და 5 გრიგოლ სიმონისძე მირაკოვის, 6. ალექსანდრე ტატუნაშვილის, 8. ვასილი, იგივე რაგ სკოვა, მოხლოკელის, 8. დიმიტრი ლოლაძის, 9. ვასილ სიმონისძე სტეფანოვის.

ბორჯომის მაზრაში,—ბორჯომში.

ბორჯომის მუნიციპალიზაცია ქმნილ სახლების დამტკიცებულ სიიდან—გამორიცხულია: 1. აფანასიევის, 2. ვ. ნ. ჯანაევის, 3. ნ. ი. კარაპეტოვის, 4. მარიამ საპუნოვის.

თელავის მაზრაში,—ქ. თელავში.

1. ლევან ჯანდიერის, 2. ლევან ზაუტაშვილის, 3. ხერხეევის, 4. იოსებ სოლოღოვის, 5. ალექსანდრე როსტომოვის, 6. ლევან იაღალოვის, 7. ზურაბ ნებუნიშვილის.

ახალციხის მაზრაში,—ქ. ახალციხეში.

1 და 2. მეტარჯიევების, 3. აგანბეგოვის.

ახალქალაქის მაზრაში,—ქ. ახალქალაქში.

1. ვაგარშაკ კარაპეტიანცის, 2. მელიქო აკოფიანის, 3. არშაკ კ ზანჯიანცის, 4. ძმ. ავაგზოვების, 5. ტიგრან პოლოსოვის.

ამასთანავე მუნიციპალიზაცია ქმნილად გამოცხადებულია ქალ. ახალქალაქში შახპაროვის ხე-ტყის, ტყავეულობის ქარხნები და ელექტრონის სადგური.

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი ა. გეგეჭკორი.

საქმეთა მმართველი დ. ჩიქოვანი.

კომუნალურ განყოფილების გამგე ნანეიშვილი.

დასასრული. იხ. გაზ. „კომ.“-ს № 64.

ტფილისის აღმასრულებელ კომიტეტის სავალდებულო დადგენილება № 6.

(სამმართველოს განყოფილებით).

17 მარტი 1923 წ. ქალ. ტფილისი.

ქალ. ტფილისში ავტომობილების მოძრაობის, საერთოდ მეეტლეთა მიმოსვლის წეს-რიგის და ველოსიპედებით სიარულის მოსაწესრიგებლად ქალ. ტფილისის აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი ადგენს მიღებულ იქნას სწორუცვლელად ასასრულებლად შემდეგი წესი:

I. ავტომობილების მოძრაობის შესახებ.

1. ქალაქში მოსიარულე ყოველ მსუბუქ და საბარგო ავტომობილს აუცილებლად უნდა ჰქონდეს ორი დაბეჭდილი სანომრო ნიშანი.

2 სანომრო ნიშნები უნდა იყოს ისეთი სახით დასმული, რომ ადვილად შეიძლებოდეს სიარულის დროს ავტომობილის გამოცნობა როგორც წინიდან, ისე უკანიდან.

3. ყოველ შოფერს თან უნდა ჰქონდეს სათანადო სამსახურის ადგილიდან გაცემული პირადობის მოწმობა.

4. ავტომობილის სიარულის სისწრაფე არ უნდა აღემატებოდეს საათში მსუბუქისა 15-ს და საბარგოსი 10 ვერს.

5. სასტიკად აკრძალულია ქუჩის მარცხენა მხრით სიარული, ვიწრო ადგილებში წინ გასწრება და კუთხეების მოჭრა.

6. ტრამვაის ვაგონების გასწრების დროს დაცულ უნდა იქნას მეტის მეტი სიფრთხილე.

7. ყოველ ავტომობილს უნდა ჰქონდეს სახმაურო სიგნალი. სასტიკად აკრძალულია ასეთ სიგნალად მილიციის საშტვენის ხმარება.

8. ღამე მოსიარულე ყველა ავტომობილებს აუცილებლად უნდა ჰქონდეს ფარნები.

9. აკრძალულია უკაცოდ ქუჩაში ავტომობილის დატოვება.

10. ყოველგვარი მოულოდნელობის გამო შოფერებს სასტიკად ეკრძალებათ სიარულის დროს მგზავრებთან ლაპარაკი ან და თამბაქოს მოწევა.

11. როგორც სამოქალაქო, ისე სამხედრო დაწესებულებათა ყველა შოფერებს ევალებათ დაუყოვნებლივ გააჩერონ ავტომობილები ტფილისის მ. | გ. მილიციის თანამშრომლების მოთხოვნილებით, წინააღმდეგ შემთხვევაში მილიციის შემადგენლობას უფლება აქვს მიმართონ მათ წინააღმდეგ იარაღს.

12. სრულიად აკრძალულია საბარგო ავტომობილებით მიმოსვლა რუსთაველისა და პლეხანოვის პროსპექტებზე, სოლოლაკის და ჩერქეზოვის ქუჩებზე და ტრამვაის ლიანდაგზე ყველა მიმართულებით.

II. მეეტლეთა მიმოსვლის წესრიგი.

13. ყოველ მეეტლეს თან უნდა ჰქონდეს ტფილისის აღმასრულებელ კომიტეტის მიერ სათანადო წესით მიცემული წარმოების ნებართვა.

14. ქუჩებში სიარულის დროს მეეტლეები ვალდებულია: დაიჭირონ მარჯვენა მხარე, იარონ საშუალო თოხარიკით, არასდროს არ შეეჯიბრონ ერთმანეთს გასწრებაში ეზოების კარებიდან გამოსვლის დროს, მოსახვევებში და ვიწრო ადგილებში იარონ აუცილებლად ნაბიჯით, დაღმართში ჩასვლისას, გზა-ჯვარედინებზე და აგრეთვე გზის გადამჭრელ ცხენოსან თუ ქვეითა მგზავრებთან შეხვედრის დროს აუცილებლად შეუკავონ თავი ცხენებს, დაუყოვნებლივ შეასრულონ მილიციის თანამშრომელთა ყველა კანონიერი მოთხოვნილებები, გზა დაუთმონ ყველა პროცესიებს, ცეცხლის მქრობელთა რაზმს, გამვლელ ჯარის ნაწილებს და პატიმართა გუნდებს, ხოლო თუ ადგილი ამის საშუალებას არ აძლევს, იმ შემთხვევაში გაჩერდნენ სანამ ისინი არ გაივლიან.

15. ქუჩებში გაჩერების დროს მეეტლებს ევალებათ არ დაიჭირონ გასასვლელები, დადგნენ განსაზღვრულ ადგილებზე რიგად და არ დასტოვონ ქუჩაში უკაცოდ ცხენები.

16. არ მიაბან ცხენები სვეტებს, მოაჯირებს და აფნებს.

17. თეატრებთან, რკინის გზის სადგურზე და საერთოდ იმ ადგილებზე, სადაც ბევრი ეტლი გროვდება, მეეტლეებს ევალებათ დაიკავონ ადგილები მილიციის მითითებით.

18. ქუჩებზე ქარავნების მსვლელობის დროს უნდა დაცულ იქნას შემდეგი წესი: როგორც დატვირთული, ისე ცარიელი დროგები, ფურგუნები და ორთქლმავლები უნდა მიდიოდნენ რიგის დაცვით ქუჩის მარჯვენა მხარეზე ერთმანეთის გაუსწრებლად.

19. სრულიად აკრძალულია დროგების, ფურგუნების და ურმების სიარული რუსთაველის და პლეხანოვის პროსპექტებზე, სოლოლაკის და ჩერქეზოვის ქუჩებზე და ტრამვაის ლიანდაგზე ყველა მიმართულებით.

20. ხსენებული მოთხოვნილებები ვრცელდება როგორც მუდმივ მეეტლებზე, ისე ყველა საბჭოთა, კოოპერატივთა, საზოგადო და აგრეთვე კერძო პირთა ეტლებზედაც.

III. ქალაქში ველოსიპედით სიარულის შესახებ.

21. ყოველ ველოსიპედის მეპატრონეს თან უნდა ჰქონდეს ტფილისის აღმასრულებელ კომიტეტის მიერ სათანადო წესით მიცემული ველოსიპედით სიარულის ნებართვა.

22. ველოსიპედით მოსიარულე ვალდებულია იაროს ქუჩის მარჯვენა მხრივ.

23. სწრაფად ან და გასასწრებლად სიარული აკრძალულია.

24. ქვეითა მოსიარულეების და ეტლების შემოვლა შეიძლება, მხოლოდ მარცხენა მხრიდან.

25. ველოსიპედით მოსიარულე ვალდებულია ქვეითა მოსიარულე და ეტლების შემოვლისას თავის დროზედ აცნობოს მათ მოახლოვება ზარით და სიარულს მოუკლოს.

26. კუთხის შემოვლა და ქუჩის გადაჭრა შეიძლება მხოლოდ ნელი სიარულით.

27. იმ ადგილებზე სადაც ბევრი ხალხი და ეტლი გროვდება პატრონმა ველოსიპედი უნდა გაატაროს ხელით.

28. სასტიკად აკრძალულია ქვაფენილებზე და ბაღებში ველოსიპედით სიარული ან და მისი ხელით გატარება.

29. ამ დადგენილების დამრღვევი მოქალაქეები დაისჯებიან ტფილისის მ. | გ. მილიციის უფროსის ადმინისტრატიულ ხელისუფლებით—თავისუფლების აღკვეთით ერთ კვირამდის ან თავისუფლების აღუკვეთლად იძულებითი სამუშაოზედ ერთ კვირამდის დანიშვნით ან და ოცი მანეთი ოქროთი დაჯარიმებით.

შენიშვნა: იმ შემთხვევაში, როდესაც სავალდებულო დადგენილების დარღვევას აქვს მძიმე ხასიათი, მილიციის უფროსი შუამდგომლობს ალმასკომის სამმართველოს განყოფილების გამგის წინაშე დამნაშავის სასჯელის გადიდების შესახებ.

30 ამ დადგენილების გამოქვეყნების დღიდან უქმდება ამ საკითხის შესახებ წინად გამოცემული ყველა სავალდებულო დადგენილებები.

31. დადგენილება ესე შედის ძალაში დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

ტფილისის ალმასკომის თავმჯდომარე—**ხუხიშვილი.**

საქმეთა მმართველი, პრეზიდიუმის წევრი—**მესხი-**

განცხადებები

ღრმად დამწუხრებულნი მეუღლე **დომენტი გიორგის ძე არონიშიძე,** დედა **ეკატერინე ელიზბარის ასული,** ძმა **მიხეილ გიორგის ძე** და **ევგენია გერასიმეს ასული ჭავჭანიძეები** აუწყებენ ნათესავებს, მეგობრებს და ნაცნობთ, რომ ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ 21 ამა მარტს უდროოდ გარდაიცვალა მათთვის ძვირფასი და საყვარელი

ზინაიდა გიორგის ასული
არონიშიძისა

გამოსვენება კვირას, 25 მარტს, საკუთარ ბინიდან მატინოვის ქუჩა, № 18 დილის 10 საათ. დაკრძალვა ვერის წმ. ნიკოლოზის ეკლესიაზე. პანაშვიდი ყოველდღე საღამოს 6 საათზე. (3—1)

კვირას, 25 მარტს, კომისარიატთა სახლში (ყოფ. კადეტთა კორპუსი)
მოხდება
საჯარო ვაჭრობა
გაიყიდება: ფანჯრების ჩარჩოები (რამები), კარები, დარაბები, თუჯის ქვაბები, თუთგის და თუჯის ვანები, ვანის კოლონა, ელექტრო-მოტორი 30 ძალისა, ინსტრუმენტის ფოლადი და სხვა.
ვაჭრობა დაიწყება დღის 12 საათზე.
შესასვლელი კადეტის ქუჩიდან. 388—3—1

საქართველოს ტექნიკური სამშენებლო ბიურო
სატსამბო
მთავარი სამმართველო: თფილისი, თავისუფლების მოედანი № 8 ტელ. 3—26 დეპეშის მისამართი—თფილისი, „სატსამბო“, განყოფილებანი: ბერლინში, ბუხარაში, ახალ-სენაკში.
ყ ვ ე ლ ა ფ ე რ ი
ელექტროფიკაციისათვის
ელექტრონის დანადგარები, ტექნიკური მოწყობილებანი, ჰიდრავლიური სამუშაოები.
საწყობებში მუდმივად არის ყოველგვარი ელექტრ. და ტექნიკურ მასალების დიდი რაოდენობა.
კრ. 682—0—14

ამიერ-კავკასიის ს. ს. რესპუბლიკის რკინისგზების სამმართველო

აცხადებს, რომ 26 მარტს ხსენებულ სამმართველოს შენობაში (ვაგზლის ქუჩა № 1) დღის 12 საათზე დანიშნულია **წერილობითი შეჯიბრება** 1923 წლის პირველი აპრილიდან იჯარით გასაცემად:

1-ლი კლასის ბუფეტების შემდეგ სადგურებზე:
ბაქო, აჯიკაბული, ქიურდამირი, ევლახი, განჯა, აღსტაფა, შახტახტი, ნახიჩევანი.

მესამე კლასის ბუფეტების შემდეგ სადგურებზე:
ბაქო, ბაქო-საბუნჩი, აჯიკაბული, ქიურდამირი, ლიაკი, მიუსუსლი, დალმამეტლი, უჯარი, ევლახი, განჯა, დალიარი, საგირი, ტაუზი, აღსტაფა, სუგმაიდი, დივიჩი, კიზილ-ბურუნი, კუსარ-ჩაი, ალაგეზი, იაშმა, ულუხანლუ, შახტახტი, ნახიჩევანი, შაგალი, ამამლი, ეჩმიაძინი (საჭიროა შეკეთება).

მეოთხე კლასის ბუფეტი: ბაქოს სადგურში.

სავაჭრო დუქნების შემდეგ სადგურებში:
ბაქო, ბაქო-საბუნჩი, სანგაჩალა, აჯიკაბული №№ 1 და 2, ქიურდამირი, ლიაკი, დალმამეტლი, უჯარი, ევლახი №№ 2 და 3, განჯა №№ 1, 2, 3, 4, 5 და 6, დალიარ-საგირი, ტაუზი, აღსტაფა, კუსარ-ჩაი, კარა-ბურუნი, კალაგერანი, ახტალა, სარდარ-აბადი, ამამლი, შაგალი, შახტახტი, ნახიჩევანი.

საპირფარეშოების შემდეგ სადგურებზე:
ბაქო, ბაქო-საბუნჩი, აჯიკაბული, ევლახი, განჯა, ტაუზი, სანაინი, ერივანი და ნახიჩევანი.

ფარდულების შემდეგ სადგურებზე: ქიურდამირი და განჯა.
ხილით სავაჭროების შემდეგ სადგურებზე: განჯა.
მსუბუქი ტვირთის შესანახი კამერის: ბაქოში.

ის პირნი, რომელთაც სურთ შეჯიბრებაში მონაწილეობის მიღება, მოვალენი არიან ჩაუშვან თავიანთი განცხადებები დახურულ კონვერტში საბჭოს კარებთან ამისათვის დადგმულ სპეციალურ ყუთში ან თავის დროზე გამოგზავნონ ასეთები ფოსტით. კონვერტებზე, რომლებიც გადმოცემული იქნება პირადად ან გამოიგზავნება ფოსტით გაკეთებული უნდა იქნას შემდეგი წარწერა: „ბუფეტების, საპირფარეშოების და ფარდულების იჯარაზე შეჯიბრებისათვის, განცხადებაში აღნიშნული უნდა იყოს თუ რა სურთ აიღონ იჯარით ან რა აქვთ განზრახული საიჯარო ქირა ოქროს მანეთებში.

განცხადებასთან დართული უნდა იქნას: 1) კვიტანცია განზრახული საიჯარო ქირის არა ნაკლებ 10 პროც. ზეს შეტანის შესახებ. იმ პირებმა, რომელთაც სურთ რამდენიმე წარმოების აღება, თითოეულის შესახებ უნდა შემოიტანონ ცალკე განცხადება და 10 პროც. ზე თითოეული ამ წარმოების შესახებ განზრახული საიჯარო ქირისა. 2) შეჯიბრებაში მონაწილეთა განცხადებებზე გადახდილ უნდა იქნეს [illegible] გადასახადი. იჯარით გაცემის დროს რკინის გზების სამმართველო იხელმძღვანელებს არა მარტო განცხადებული ფასებით, არამედ სხვა მოსაზრებებითაც, რომლებსაც გზების მეურნეობა მოითხოვს. 3) ბუფეტების, საპირფარეშოების და სავაჭრო ადგილების ახლანდელი მოიჯარადრეები, რომლებსაც ამა წლის პირველი მარტისათვის არ გადაუხდიათ სრულად საიჯარო გადასახადი, შეჯიბრებაზე დაშვებული არ იქნებიან. დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება ყოველ-დღე, გარდა უქმე დღეებისა, 10-დან დილის 11 საათამდე რკინის გზების სამმართველოში (თბილისი, ვაგზლის ქუჩა № 1, ოთახი № 64).

კრ. 269 3—2

დოქტორი მედიცინისა ბერლინის უნივერსიტეტისა
გ. მეგრაბიანცი
შინაგანი ავადმყ. ფილტვების—ქლექი და გულის—სპეციალური წამლობ
მალარიისა შეშხაპუნება 914 რენტგენის სინათლის—ელექტრონის წამლობ
კაბინეთი.
იღებს 9—12 საათ.—დღის და 5—7 ს. საღ.
ბებუთოვის ქუჩა № 23. (264—25—14)

ელექტრონის და სინათლის
სამკურნალო
საწოლებით რენტგენი დ'არსონვალი
მიხეილ გედევანიშვილის სახელობის
ნერვიულ და შინაგან ავადმყოფთათვის—რომელნიც ფიზიკურ მეთოდ
ექიმობას საჭიროებენ.
სავადმყოფო სწარმოებს **ექ. სვიმონ ყიფშიძის** ხელმძღვანელობით. ტფილისი, ყორღანოვის ქ. № 20. (233—25—17)

იყიდება კარგათ მორთული
სახლი
ბაღით
ვისაც სურს ხელსაყრელად იყიდოს და გაყიდოს, უნდა მიმართოს მამა-დავითის ქუჩაზე № 3, ბინა 2.
401—10—1

ქალ. თბილისის 1 რაიონის სახალხო მოსამართ

იწვევს სასამართლოში პორფირი ალექსანდრეს ძე ბულგარევიჩს, რო მოპასუხეს ზინაიდა პეტრეს ასული ბულგარევიჩთან განქორწინების შე ნა აფრთხილებს მას, რომ თუ ის ორი თვის განმავლობაში დღიდან გამოქვეყნებისა არ გამოცხადდება დანიშნული იქნება საქმე და გამო ლი დაუსწრებელი დადგენილება.

1-ლი რაიონის სასამართლო იმყოფება სასამართლოს ქუჩაზე №

400—1

ქალ. თბილისის მე 2-ე უბნის სახალხო მოსამართ

იწვევს სახალხო სასამართლოში აბბას ბეკ იბრაგიმ ოღლის მაკინსკის, გორც მოპასუხეს მის ცოლთან მარიამ მიხეილის ასულ მაკინსკაიასთან ცხადებულ საჩივარზე მათი განქორწინების შესახებ და აფრთხილებს რომ თუ ის ორი თვის განმავლობაში დღიდან ამის გამოქვეყნების არ მოცხადდება დანიშნული იქნება საქმე და გამოტანილი დაუსწრე დადგენილება.

405—1

დაიკარგა პირადობის მოწმობა მიცემული ნიკოლოზ სახელობაზე № 194, მიღებული მე-3-ე სტ ჩაითვალოს გაუქმებულად. 403—1

დაიკარგა ვასილი ნადირიანის სახელზე გაცემული პას ჩაითვალოს გაუქმებულად. 402—1

დაიკარგა კასპიის იქითა ოლქის მაგიშლავის სამაზრო სამ თველოს მიერ ქერივ ალექსანდრა გიორგის ას კაპიცას სახელზე გაცემული პასპორტი. ჩაითვალოს გაუქმებულად. 404—1

ტირაჟი 10,000 ნ. ხ. დ. ც

საქართველოს სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს პოლიგრაფიული განყოფილების მე-3 სტამბა კრუზენშტერნის ქ. № 4.